ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 21 ივნისი, 2021 №110 (8639) ფასი: 60 თეთრი

## სასწრაფო არ მოვიდა და დაჭრილი მეზობელმა წაიყვანა

ბოლნისში ახალგაზრდა კაცი მოკლეს

გვ.5



# „კობახიძე იქნება „ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი“





ლადო სადღობელაშვილი: „კობახიძე პირდაპირ დაპირისპირებაშია გახარიასთან. ამათი დაპირისპირება კი პირდაპირ ურტყამს „ქართულ ოცნებას“



გვ.3

„20 ივნისის მთავარი დამნაშავე გახარიაა — შემოუშვა შსს-მ გავრილოვი, შსს-მ მოაბილიზა ის დამრტყმელი ძალა, რომელიც იყო აქციაზე და შსს-ვე დაარბია“

## „ოპოზიციის 60 დეპუტატიდან ვადამდელი არჩევნები მაქსიმუმ ნახევარს აწყობს“

ხათუნა ლაგაზიძე: „პროკურატურის განცხადებამ გახარიას წისქვილზე დაასხა წყალი, ივანიშვილი უნდა დაინტერესდეს, ვინ გახსნა ჭრილობები“



გვ.2

გვ.4



## „საქართველოში ბევრ ერთმანეთისგან განსხვავებულ პარტიას ერთი მეპატრონე ჰყავს“

მამუკა გიორგაძე: „სახელმწიფოს დასუსტება და ინსტიტუტების მოშლა რუსეთის ამოცანებში შედის“

## 20 ივნისს „ოცნებამ“ უპრეცედენტო დანაშაული ჩაიდინა, ამნისტია დაუშვებელია“



ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი ამ ამნისტიას საკუთარი თავისა და გახარიასთვის იღებს“

გვ.2

# მრევლის თხოვნა მეუფე იაკობს

გვ.3

®

ISSN 1987-9385

5 გურიაში ქალმა, 3 შვილთან ერთად, 30 საფლავი გაძარცვა

5 6 წლის ბავშვის წამებისთვის თბილისში მისი დედა და მამინაცვალი დააკავეს

4 „კოვიდის აფეთქება წელსაც ბათუმიდან დაიწყება, ოღონდ შარშანდელზე გაცილებით მწვავე იქნება“

5 „ყელს მაინც გამოგჭრი“ გორში სიდედრზე მუქარისთვის სიძეს 4 წელი მიუსაჯეს

6 ჩინეთის შემდეგ ყველაზე მეტი ვაქცინირებული ევროკავშირშია

# „ოპოზიციის 60 დეპუტატიდან ვადამდელი არჩევნები მაქსიმუმ ნახევარს აწყობს“

## ხათუნა ლაგაზიძე: „პროკურატურის განცხადებამ გახარიას წისქვილზე დაასხა წყალი, ივანიშვილი უნდა დაინტერესდეს, ვინ გახსნა ჭრილობები“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ აღარ არის საქართველო აშშ-სთვის პრიორიტეტული საკითხი და გაქრა თუ არა საერთაშორისო რადარებიდან? ცრუ მოლოდინი გვაქვს ნატოს გაფართოების პოლიტიკაზე? რა თამაშს თამაშობს გიორგი გახარია და როგორ უნდა გავიგოთ მისი და „ოცნების“ ურთიერთობა? სად არის დანარჩენი ოპოზიცია და რამდენად ღრმა კრიზისია ოპოზიციურ ფლანგზე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.

***– 2-თვიანი მოკვლევის შემდეგ პროკურატურამ გვითხრა, რომ „ტვ პირველზე“ გასული ჩანაწერები მონტაჟია და სიტყვა „მინისტრები“ კი არ იყო გამოყენებული, არამედ „მინი სტები“. ასე ჰგონიათ, რომ ასეთ შეთხზულ ტყუილს დავიჯერებთ?***

– იმდენად არასერიოზული რამეა, რომ ამის სერიოზულად კომენტირება წარმოუდგენელია. მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ პროკურატურა აქტიურად ჩაერთო გახარიას პიარში. ამ განცხადების მერე „ოცნების“ ამდენი გაოგნებულ-დაბნეული მომხრეები თუ წევრები საით უნდა წავიდნენ?! და თუ მათ გამოსავლის ძებნა დაიწყეს, ყველა მარტივი გამოსავალი შეიძლება იყო სწორედ გიორგი გახარიას ახლად შექმნილი პოლიტიკური ძალა და თუ ვინმეს წისქვილზე დაასხა წყალი პროკურატურის განცხადებამ, ეს გახარიას წისქვილია. მე, მაგალითად, დავინტერესდებოდი ივანიშვილის თუ ღარიბაშვილის ადგილას, ვის მოუვიდა თავში ამ დახურული ჭრილობების გახსნა და მარილის მოყრა. ხელოვნურად გახსნა ვიღაცამ უკვე დახურული ჭრილობა. მოკეთე რომ ამას არ გააკეთებდა, თითქოს ნათელი უნდა იყოს.

***– აქ თქვენ ივანიშვილის ხელს და მის დაკვეთას ვერ ხედავთ?***

– ლოგიკურად როგორ შეიძლება ეს მისი დაკვეთა იყოს, იმდენად ცუდი სამსახური გაუწიეს მას ამ თემის ასეთი ფორმით გააქტიურებით?! წესით, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. რა რეაქციაც მოჰყვა ამას საზოგადოებაში და სოციალურ ქსელებში, ხელისუფლებისთვის ეს საზოგადოებაში არსებული განწყობების კარგი ინდიკატორი უნდა იყოს: პოლიტიკის კლასიკა – როდესაც საზოგადოება ხელისუფლების დაცინვას იწყებს, იმ ხელისუფლების საქმე წასულია.

***– ზოგადად „ოცნების“ ბოლო განცხადებები, განსაკუთრებით კი კობახიძის, გახარიას წისქვილზე ხომ არ ასხამს წყალს?***

– მე გახარიაზე საუბარს დავიწყებდი მის მიმართ დასავლეთის მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერით. იშვიათად მახსენდება, რომ ასე ღიად, ფარად გადაფარებოდნენ ოპოზიციაში ახლად შემოსულ პოლიტიკოსს დასავლელი პოლიტიკოსები. ევროპაშიც მრავალფეროვანი შეხვედრები ჰქონდა მას.

***– ანუ, იმას ამბობთ, რომ დასავლეთს უნდა?***

– უნდა – არ უნდაზე არ არის საუბარი. საუბარი იმაზეა, რომ ჩვენი ოპოზიციის სავალალო მდგომარეობა, მგონი, ჩვენზე ადრე ამერიკის და ევროკავშირის ელჩებმა დაინახეს, როდესაც მოლაპარაკებები თვეების განმავლობაში გრძელდებოდა. ისინი ოპოზიციის დიდ ნაწილში ვერ ხედავენ ძლიერ პარტნიორს დასავლეთისთვის და ვერც სტაბილურ პოლიტიკურ ძალებს, რომელიც ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში უზრუნველყოფს სამოქალაქო მშვიდობას და სტაბილურობას. ამდენად, ქართულ პოლიტიკაში რომ გამოჩნდეს ახალი სოლიდური ფიგურა ან პოლიტიკური ჯგუფი, მის მიმართაც ინტერესი დიდი იქნება. დღეს დასავლეთის პოზიცია გახარიასთან მიმართებით ჰგავს იმას, წყალწაღებული რომ ხავსს ეჭიდება: ოღონდ ვინმე გამოჩნდეს მეტ-ნაკლებად რესპექტაბელური პოლიტიკური ძალა და ყველას მწვანეს აუნთებენ, ოღონდ ქართულ პოლიტიკაში გაჯანსაღების პროცესი დაინახონ. რამდენად შეძლებს გახარია რესპექტაბელურად ჩამოყალიბებას, ამას უახლოესი თვეები გვიჩვენებს, ჯერ მან თავისი თავი უნდა იპოვოს პოლიტიკურ სივრცეში – რა უნდა და როგორ პოზიციონირებს. როგორც ჩანს, მან იცის ორი რამე – სურს, რომ „ოცნება“ ჩაანაცვლოს ბიძინა ივანიშვილის თვალში; და შესაბამისად, ის მუშაობს „ოცნების“ იმ ამომრჩეველზე, რომელიც „ოცნებას“ ხმას „ნაციონალების“ შიშით აძლევს. ასეთი ამომრჩეველი „ოცნების“ შიგნითაც არის და ოპოზიციურ ამომრჩეველშიც მოიძებნება, რომელიც დღეს არსებული პატარა პარტიების სტაბილური ამომრჩეველი კი არაა, არამედ ერთჯერადად მისცა მათ ხმა.



***– პატარა პარტიებსაცართმევს ხმებს?***

– ხმების ნაწილს ართმევს. ანუ იმ კატეგორიას, რომელმაც ამ პარტიებს ხმა მისცეს იმის გამო, ვისაც „ნაცმოძრაობის“ რევანშის ეშინია. რამდენად მიიზიდავს ამ ამომრჩეველს გახარია, კითხვის ნიშნები მაქვს. განსაკუთრებით, „ოცნების“ ამომრჩეველს. იმიტომ, რომ ივანიშვილის განცხადებამ მოჭიმა „ოცნების“ ადმინისტრაციული რესურსი. მე სულ ვამბობ ხოლმე, რომ შევარდნაძე 2003 წელს კი არ დამარცხდა, არამედ 2002 წლიდან, როდესაც დაიწყო მისი კადრების გადინება სააკაშვილთან. ეს გაკვეთილი იყო მათ შორის ივანიშვილისთვისაც და სანამ სულ ჩამოიშლებოდა საჯარო სექტორი, მანამდე ჩაჭრა ის აზრი, რომ გახარია ივანიშვილის ხელდასმით შემოდიოდა პოლიტიკაში. „ოცნებას“ გახარიასი ეშინია იმდენად, რამდენადაც მას ჯერ კიდევ შეუძლია საფრთხე შეუქმნას „ოცნების“ 43%-ს. პერსონალურად ივანიშვილს რაც შეეხება, მისთვის განსაკუთრებულ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს „ოცნების“ გახარიათი ჩანაცვლება, მაგრამ ეს საფრთხეს წარმოადგენს უშუალოდ „ოცნების“ ლიდერებისთვის. თუმცა, არსებული სტატუს-ქვოს დარღვევაც, ბუნებრივია, არ ხიბლავს.

***– მაშინ ივანიშვილმა რატომ გაავრცელა განცხადება?***

– იმიტომაც, რომ ადმინისტრაციული რესურსის ჩამოშლით ხელისუფლება თუ ჩამოიშლება, სად არის გარანტია, რომ მას გახარია დაეუფლება და არა სხვა ვინმე, ამის გარანტია ვის აქვს?! ამიტომ, არსებული სტატუს-ქვოს რისკზე შეგდება არ უღირს.

***– გახარიას დაჭერაზე არ წავლენ?***

– დასავლეთის მხრიდან გახარიათი დაინტერესების ფონზე, „ოცნება“ რომ გახარიას დაჭერაზე წავიდეს, ძნელად წარმოსადგენია. კიდევ იცით, რატომ არ წავლენ დაჭერაზე? დღეს ღარიბაშვილს დასავლეთთან ურთიერთობაში სჭირდება კონსტრუქციული იმიჯი, „ქართულ ოცნებაში“ საფრთხობელას როლი კი სრულად მოირგო კობახიძემ, სხვათა შორის, მძიმე როლია ეს. ფაქტობრივად ის არის ფარიც, მახვილიც და მეხამრიდიც „ოცნებისთვის“, მთავარ დარტყმებს თავის თავზე იღებს, რაც გუნდისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ყველაზე მძიმე თემების პედალირებას ახდენს, რასაც ბევრი ვერ გაბედავს. ამიტომაც არის ამდენი წელი მუდმივად მოთხოვნადი გუნდში და მუდმივად მაღალ პოზიციებზე.

რაც შეეხება ღარიბაშვილს, რეალურად ის ტრანსფორმაციას ცდილობს. გვახსოვს, რამდენად ხისტი იყო ღარიბაშვილი, როდესაც ის თავდაპირველად იყო პრემიერი, მაგრამ ახლა ის უკვე კონსტრუქციული იმიჯის მორგებაზე მუშაობს, განსაკუთრებით, საგარეო ფლანგზე.

***– იმიტომ ხომ არა, რომ მისი როლი მოირგო კობახიძემ?***

– ეგეც არის. ფაქტობრივად გაინაწილეს როლები. მახვილის ფუნქცია კობახიძემ აიღო თავის თავზე, ხოლო ღარიბაშვილი ტრანსფორმაციული ლიდერის როლს ირგებს: უფრო კონსტრუქციული ლიდერის როლს, სრულიად განსხვავებულს მისი წინა როლებისგან. ამასთან, ღარიბაშვილი ცდილობს საერთაშორისო ფლანგზე რეგიონალური ლიდერის ამბიციები გამოხატოს, რაც, სხვათა შორის, აქამდე „ოცნების“ ლიდერებისთვის აკრძალული იყო.

***– დანარჩენ ოპოზიციას რაც შეეხება, სად არიან და რა ხდება იქ?***

– ოპოზიციურ ფლანგზეც მძიმე მდგომარეობაა. რა თქმა უნდა, ყველას ერთ ქვაბში ვერ მოვხარშავთ და ამ ოპოზიციაში ნამდვილად არიან ლიდერები, რომლებიც მართლაც იმსახურებენ, რომ ჰქონდეთ თავისი როლი საქართველოს მომავლის შენების საქმეში, როგორც ცალკეული ლიდერები, ასევე პოლიტიკური ჯგუფები თუ პარტიები. მაგრამ ოპოზიციის დიდი ნაწილი მორალურად გაცვდა, ერთი ნაწილი საერთოდაც იქცა „ოცნების“ ადვოკატად და ღიად პოზიციონირებს ასე და არც მალავს.

***– ვის გულისხმობთ?***

– არა, ახლა არ დავასახელებ პოლიტიკოსებს, თუმცა მაგის დროც მოვა.

ოპოზიციის მეორე ნაწილი ასე ღია ადვოკატობას ჯერჯერობით ვერ რისკავს, მაგრამ ამავდროულად კარგად აცნობიერებს საკუთარ ურესურსობას როგორც ფინანსურად, ასევე ადამიანური რესურსის სახით. აგრეთვე, საკუთარი რეიტინგის ვარდნასაც ხედავენ. ამიტომაც, არაფერშიც არ აწყობთ ვადამდელი არჩევნები და იმისათვის, რომ „ოცნებამ“ 43% ვერ მიიღოს, ამ საკითხის ირგვლივ ოპოზიციის ერთობის მიღწევა და დაორგანიზება ძალიან გაჭირდება.

***– ანუ, ოპოზიციის კოორდინაციის მოლოდინი ტყუილად გვაქვს?***

– ნაკლებად. ისეთი ქვედა დინებები წავა და ქვემოდან გამოძრომის მცდელობები... გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, იმ 60 დეპუტატიდან რამდენს აწყობს ვადამდელი არჩევნები.

***– როგორ ფიქრობთ, რიცხობრივად რამდენს აწყობს?***

– მაქსიმუმ ნახევარს, ალბათ არც კი. დიდ ნაწილს არც აქვს პერსპექტივა, რომ მომავალ პარლამენტში მოხვდეს.

***– მათ შორის „ენმ-ძალა ერთობაშია“-ს ბლოკიდან შესულებიდანაც ყველას არ აწყობს ვადამდელი?***

– მათ ნაწილს, რა თქმა უნდა, აღარ აქვს პერსპექტივა მომავალ პარლამენტში მოხვედრის. ზოგი საპარლამენტო სიაშიც ვერ მოხვდება, ზოგი სიაში კი მოხვდება, მაგრამ პარლამენტში ვეღარ. ამიტომაც, რამდენი მათგანი იბრძოლებს რეალურად, რომ 43% ვერ აიღოს „ოცნებამ“, ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

არის ოპოზიციაში მესამე ნაწილიც, რომელიც იმედგაცრუებულია არჩევნების შედეგებით და ჯერ კიდევ ვერ უპოვია საკუთარი თავი და ახალი პოზიციონირება როგორ გააკეთოს, რათა შემორჩეს პოლიტიკურ ველს.

როგორც აღვნიშნე, არსებული პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი მორალურად მოძველდა და სერიოზულ გადახალისებას საჭიროებს. ჩვენ მოწმენი ვართ იმის, როდესაც ხელისუფლებები მაქსიმუმ მე-7 მე-8 წელს, როგორ ცდებოდნენ რეალობას და როგორ ცხოვრობდნენ თავისივე შექმნილ ვირტუალურ სამყაროში. ანუ სულ სხვა რეალობა ჰქონდათ მათ და სხვა რეალობით ცხოვრობდა ხალხი. ეს აცდენა ხალხის ინტერესებთან ასრულებდა კიდეც მათ ყოფნას ხელისუფლებაში. დღეს უპრეცედენტო რამეს ვუყურებთ – იგივე სენი შეეყარა ოპოზიციას. ალთას არის ოპოზიცია და ბალთას არის საზოგადოება. ეს გაუცხოება და საკუთარი პრიზმიდან პროცესების დანახვა, რაც აქამდე ხელისუფლებას ახასიათებდა ხოლმე, დღეს ოპოზიციასაც შეეყარა.

რაზე ვლაპარაკობთ, 21 ივნისია დღეს უკვე და მერობის კანდიდატები არ ჰყავთ და მზადება არ დაუწყიათ არჩევნებისთვის. ნამდვილად არ ვსაუბრობ ნიშნის მოგებით, პირიქით, შეშფოთებით ვუყურებ პროცესებს. იმიტომ, რომ პოლიტიკურ ველზე არ შეიქმნას ხანგრძლივი ვაკუუმი, როდესაც საზოგადოებას არ ეყოლება საკუთარი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ძალები. ეს, ჯერ ერთი, კიდევ უფრო ღრმად ჩაფლავს ქვეყანას ჭაობში, საიდანაც მისი ამოთრევა ძალიან გაჭირდება. მეორე მხრივ, კაცმა არ იცის, ხალხის უკმაყოფილება როგორ იხუვლებს ავტორიტეტული ლიდერების გარეშე და როგორ უმართავ ფორმებს მიიღებს.

თუმცა, ყველა მედალს ორი მხარე აქვს და თუ ოპოზიციის რაღაც ნაწილი გავა პოლიტიკური ველიდან, ის აუცილებლად შეივსება ახალი და ჯანსაღი ნაწილით. უბრალოდ, ვაკუუმის პერიოდია საფრთხილო.

# 20 ივნისს „ოცნებამ“ უპრეცედენტო დანაშაული ჩაიდინა, ამნისტია დაუშვებელია“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი ამ ამნისტიას საკუთარი თავისა და გახარიასთვის იღებს“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ლაშა, რამდენად რეალური შეიძლება იყოს გავრცელებული ხმები ირაკლი კობახიძის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ გადაყვანასთან დაკავშირებით?***

– ირაკლი კობახიძე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის საფრთხობელად. სხვათა შორის, არც გავრილოვის ჩამოყვანას, არც 20 ივნისს განვითარებულ მოვლენებს მას არასდროს არავინ არ ეკითხებოდა. ის იყო ივანიშვილის ერთი ბოროტი რუპორი და მეტი არაფერი. ამ ქვეყანაში ყველა მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც ფორმალურად პირველი თუ მეორე პირია, სინამდვილეში არის ივანიშვილის დაკვეთის შემსრულებელი. კობახიძეც ერთ-ერთი იმათთაგანია.

რაც შეეხება კობახიძის საკონსტიტუციო სასამართლოში გადაყვანას, ამ ხელის ბიჭებსაც, როგორც ჩანს, ვადა ეწურებათ ხოლმე, ამიტომ, სულაც არ გამოვრიცხავ, გადამალონ. გადამალონ და ასე შეეცადონ დაავიწყონ ხალხს, მაგრამ ირაკლი კობახიძეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნავენ თუ თბილისის კანალიზაციის დირექტორად, ამით ქვეყანაში არაფერი არ შეიცვლება. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოშიც ხმების აბსოლუტური უმრავლესობა „ქართული ოცნებისაა“, ივანიშვილს ჯიბეში აქვს ჩადებული და არავითარ დამოუკიდებლობაზე საუბარი არ არის, ისევე, როგორც საერთო სასამართლოში. ამიტომ, რა მნიშვნელობა აქვს, პენსიაზე სად გაუშვებენ კობახიძეს?!



***– პენსიაზე გაშვება იქნება?***

– რასაკვირველია, ეს იქნება პენსიაზე გაშვება. ასე გაუშვეს თავის დროზე სამარცხვინო ზაქარია ქუცნაშვილი გარდაბნის თბილექტროსადგურის დირექტორის მოადგილედ. ასე დაასაქმეს ზარდიაშვილი, ნარმანია ეროვნულ მარეგულირებელში და ა.შ. ამ ადამიანებს ფულის გარდა არასდროს არაფერი არ ადარდებდათ, მაგრამ ე.წ. პენსიაზეც რომ უშვებენ, გაორმაგებული ფული აქვთ. ეს ადამიანები ფულის გამო ბოლომდე მონებად რჩებიან.

***– 20 ივნისის მოვლენებზე რომ ვისაუბროთ. გახარიამ განაცხადა, რომ მას ამნისტია არაფერში არ სჭირდება.***

– 20 ივნისის ამნისტია კატეგორიულად მიუღებელია. ჩვენი ქვეყნის უახლესი პოლიტიკის ისტორიაში ასეთი დანაშაული უპრეცედენტოა და თან ამნისტირებული, რა თქმა უნდა, თუ ამნისტია იქნება მიღებული. სამართლებრივად 20 ივნისის დანაშაულის ასეთი ფორმით ამნისტია სახიფათო მოვლენაა. სააკაშვილის თუ სხვების დროს ადამიანებს ქუჩებში ხვრეტდნენ და ადგილობრივ დონეზე არანაირი სამართალი არ იყო, მაგრამ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში ვსაჩივრებდით, მერე, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, მაგალითად, ვანო მერაბიშვილმა, მართალია მხოლოდ მან, მაგრამ მაინც აგო პასუხი 7 ნოემბრისა და 26 მაისის გამო.

ახლა რა გამოდის, თუ ამნისტიას მიიღებს ეს პარლამენტი, არავის პასუხი არ მოეთხოვება 20 ივნისის დანაშაულის გამო. ეს არის სრულიად მიუღებელი. ეს არის ერთგვარი ინდულგენციაც კი მომავლისთვის, რომ ნებისმიერმა ხელისუფალმა შეიძლება ასე თავხედურად დათხაროს თვალი ადამიანს თუ სიცოცხლეს გამოასალმოს და პასუხი არ მოეთხოვოს ამისთვის. ეს ჩემთვის მიუღებელია. როგორ შეიძლება დემოკრატიულ სახელმწიფოში, თუ დემოკრატია გვაქვს, აქციის დამრბევთა და ადამიანებისთვის თვალების დამთხრელთა ამნისტირება ხდებოდეს?!

***– ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ გახარიასთვის ამნისტიას როგორ ვიღებთ, როდესაც ასე ვართ დაპირისპირებული მასთან. არის ეს თქვენთვის არგუმენტი?***

– ივანიშვილი ამ ამნისტიას პირველ რიგში საკუთარი თავისთვის იღებს, ისევე, როგორც გახარიასთვის. ეს ადამიანები 20 ივნისის დანაშაულის თანამონაწილეები არიან. ადრე თუ გვიან, მოქმედი რეჟიმის დასრულების შემდეგ, სახელმწიფომ უნდა მიაღწიოს 20 ივნისის გამოძიებას და ყველა დამნაშავის უკლებლივ დასჯას. თუკი მერაბიშვილის მიმართებით მაინც მოხერხდა, რაც არ არის საკმარისი, მაგრამ მაინც აგო პასუხი, გახარიამაც და ივანიშვილმაც, ასევე, ყველა დამნაშავე პირმა, უნდა აგონ პასუხი, რასაკვირველია, სათანადო გამოძიების შედეგად.

რაც შეეხება კობახიძის განცხადებას გახარიასთან დაპირისპირებასთან დაკავშირებით, რეალურად გახარია ივანიშვილის პოლიტიკურ პარტნიორად რჩება. გახარია არის სათადარიგო ვარიანტი, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. თუკი ვადამდელი არჩევნები დაინიშნება, რა თქმა უნდა, გახარია იქნება ივანიშვილისთვის კოალიციის შემქმნელი. ცალსახაა, გახარიამ დაიკავა ირმა ინაშვილისა და „პატრიოტთა ალიანსის“ სივრცე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მრევლის თხოვნა მეუფე იაკობს



## მეუფეო, დაგვლოცეთ!

მეუფეო, უმორჩილესად გთხოვთ, არ შეუშვათ პანსიონში ქალბატონი ნინო ლომჯარია.

რა თქმა უნდა, მეუფეო, ზოგადად ჩვენ ამ ინსტიტუციის ბავშვებთან შეშვების წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ, ხომ გააჩნია, ვის ხელშია ეს დაწესებულება ამჟამად?!

მეუფეო, ალბათ გემახსოვრებათ, სახალხო დამცველის ადგილზე ხალხმა, ძირითადად მადლიერმა პატიმრებმა, ათასობით ხელმოწერა შეაგროვეს, რათა ამ თანამდებობაზე აერჩიათ ბატონი დიმიტრი ლორთქიფანიძე.

თუმცა, სამწუხაროდ, აირჩიეს, უფრო სწორად, აშშ-ის საელჩოს პირდაპირი დავალებითა და ჩვენი ხელისუფლების მორჩილებით, დანიშნეს ქალბატონი ნინო, რომელიც, დღიდან მისი დანიშვნისა, არა სახალხო, არამედ ძირითადად ერთი ყველაზე უბილწესი, უბინძურესი და სატანური, ერის შავი ლაქის, ე.წ. ლგბტ-ს აგრესიულ დამცველად, ლობისტად, გამავრცელებლად იქცა.

ის, რომ ქალბატონი ნინო ლგბტ სოდომიტების გუნდის წევრია და მათი ერთ-ერთი ლიდერიცაა, სწორედ ნინოწმინდის პანსიონის ფონზეც ძალიან კარგად გამოჩნდა, იმ არაერთ აქციაზე, რომლებიც „თბილისი პრაიდმა“ გამართა მთავრობის წინააღმდეგ, სადაც ისინი მოითხოვდნენ მათგან სწორედ ნინო ლომჯარიას შეშვებას ნინოწმინდის პანსიონში და მისთვის ამაში ხელისშემშლელი მეუფე სპირიდონის დასჯას.

სწორედ იმავე მიზეზით, ამ ლგბტეებთან სოლიდარობისა და გუნდურობის გამო, გაემართა (სხვათა შორის, თქვენთან შეხვედრის დამთავრებისთანავე) ქალბატონი ლომჯარია მთავრობასთან შესახვედრად, რათა (სავარაუდოდ, იმ განწყობით, რომ ეკლესია უკვე დააჩოქა), დაითანხმოს ახლა ხელისუფლება, რათა მან ყოველმიზეზგარეშე უზრუნველყოს ბილწი „ღირსების მარშის“ „ღირსეულად“ ჩატარება.

ასევე, მეუფეო, გვინდა გაცნობოთ, რომ ამ ლომჯარიასა და ლგბტს საძაგელი ერთობის სრულმასშტაბიანი წევრები არიან ეს ე.წ. სოცმუშაკებიც, რომლებმაც მას მერე, რაც მათ ხელს ველარ უშლის მეუფე სპირიდონი, პრაქტიკულად გაინავარდეს და წუთით აღარ ტოვებენ ბავშვთა სახლს, ღამითაც კი იქ ჩასახლდნენ.

რა თქმა უნდა, ზოგადად ჩვენ არც ამ ინსტიტუციის წინააღმდეგი არანაირად არ ვართ და, პირიქით, მიგვაჩნია, რომ ეს უკეთილშობილესი პროფესიაა და დიდ თავგანწირვას მოითხოვს ადამიანისაგან.

მაგრამ, ხომ ყველამ იცის, რა არის რეალობა?!

მთელ დასავლურ სამყაროში, უკვე ასევე საქართველოშიც, სოცმუშაკობა გადაქცეულია ერთ-ერთ ყველაზე სამარცხვინო და ბნელ საქმედ, რადგან მათი უდიდესი უმრავლესობა დატრენინგებულია მსოფლიოში სოდომიის პირველი ლობისტის, გაეროსა და მისი ბინძური ბავშვთა ფონდის, იუნისეფის მიერ, რომლის შეფიც არის სწორედ საქართველოში ბატონი ჰასან ხალილი.

ეს ის სატანური ფონდია და ის ბატონი ჰასანია, რომელმაც ჩვენს ბავშვებში, „ლგბტ უფლებების“ გაზრდის კუთხით, ბაღებიდან უკვე ნეიტრალური გენდერის თეორიის დანერგვა დაიწყო და ასევე ამ ფონდმა მიაღებინა მოღალატე პარლამენტს ბავშვთა წართმევის კოდექსი, რომლის საფუძველზეც ამ ბავშვის წართმევაში დახელოვნებულმა სოცმუშაკებმა უკვე ათასობით შვილი გამოსტაცეს მშობლებს, მათგან ერთი მესამედი — მხოლოდ სიღარიბის გულისთვისაც.

ასევე რეალურად მათ კისერზეა და მათი მავნებლური საქმიანობის შედეგია ისიც, რომ უკვე მოახერხეს ნინოწმინდის პანსიონიდან ამდენი ბავშვის გაყვანა.

ცნობისთვის, მეუფეო, რომ ვიცოდეთ, თუ რა ტიპის კონტინგენტი შეიძლება იყოს ამათი გაწვრთნილი სოცმუშაკი (რომელსაც ქალბატონი ნინო ლომჯარია თვალდახუჭული ენდობა, განსხვავებით საპატრიარქოს კადრებისაგან), გეტყვით, რომ მაგალითად საქართველოში ოფიციალურად სოცმუშაკის პროფესიის მატარებელია „თბილისი პრაიდის“ გამგეობის წევრი, ქალბატონი ანა სუბელიანი.

ეს ის აქტივისტია, მეუფეო, რომელმაც, თუ გახსოვთ, კლუბ ბასიანის მხარდამჭერ აქციაზე 9 აპრილის მემორიალზე შეასრულა ბინძური როკვა.

ასევე, მეუფეო, ჰასან ხალილის სამსახურის, ლომჯარიების, ანუ გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური ტრენერია ბატონი კობა ბიწაძე, რომელიც არაერთი წელია, ბავშვთა ცენტრების, კერძოდ, „მომავლის ბანაკების“ ხშირი სტუმარია.

ეს ის პიროვნებაა, რომელიც საკუთარ ფეისბუქგვერდზე ერთი ხელით თავს იწონებს იმით, რომ თურმე ძალიან შინაარსიან ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებს ბავშვებთან და მეორე ხელით ამაყობს იმით, რომ ბინძური კავშირი დაამყარა და ღამე გაატარა ვინმე მეგობარ ყმაწვილთან ერთად ბაგრატის ტაძრის ეზოში.

ასევე, მეუფეო, გაცნობებთ, რომ ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“, რომელიც უკვე წლებია, თანამშრომლობს საპატრიარქოსთან, არის ღია სექტანტური ორგანიზაცია (ბაპტისტების დაარსებულია), რომელიც, პარალელურად, საქართველოში დაკავებულია (არა მხოლოდ საქართველოში) ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდით მცირეწლოვნებში.

კერძოდ, მათ ამასწინათ ბავშვთა დღეზე მოაწყვეს თელავში, ღია პარკში, მსოფლიოში ცნობილი უბინძურესი ლგბტ ფილმის, ბილი ელიოტის ჩვენება, 10 წლის ბალერონ ბიჭზე.

ასევე, მეუფეო, გვსურს იცოდეთ, რომ ლომჯარიას ერთ-ერთი მხარდამჭერი არის ასევე ცნობილი გეიაქტივისტი, სალომე ბარკერი, რომელმაც, პრაქტიკულად, რა აქციებიც კი არ გაიმართა ლომჯარიას მხარდასაჭერად პანსიონის წინააღმდეგ, ყველაში მიიღო აქტიური მონაწილეობა. ეს ის პიროვნებაა, რომელმაც პრეზერვატივებზე წმინდანების გამომხატველების დასახმარებლად თვითონ წამოიცვა ორ თითზე პრეზერვატივი და ისე სახავდა ხალხს ჯვარს, რათა შეურაცხყოფა მიეყენებინა მაკურთხეველი მარჯვენისათვის.

ასევე გვინდა, დარწმუნებით გაცნობოთ, რომ სახალხო დამცველის აპარატი, გაერო, მოსახლეობის ფონდი და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები არიან როგორც აბორტის, ასევე სკოლაში სექსუალური აღზრდის შეტანის კულტივიტატორები მთელ მსოფლიოში.

და, როგორც მოგეხსენებათ, მეუფეო, მედიცინის მიერ დამტკიცებულია, რომ უფროსების, „მასწავლებლების“ ნებისმიერი ფორმით და მიზეზით საუბრები ბავშვებთან სექსუალურ ურთიერთობებზე უკვე პედოფილიაა....

გახსოვთ ალბათ, მთელი საქართველო შეძრა გაეროს (იუნესკო) დაფინანსებით ხატია ახალაიას ენით აღუწერელმა უბინძურესმა ვიდეოგაკვეთილებმა, სადაც ის ბაღის ასაკის ბავშვს უტარებდა სექსის გაკვეთილებს ჰომოსექსუალიზმის კუთხით.

ასევე პანსიონში ბავშვებთან შეღწევის მოსურნე და ლომჯარიას დიდი ქომაგი და მისი მარჯვენა ხელია ჭკუაზე გადამდგარი, ეკლესიის ცნობილი მტერი, სამღვდელოებისა და საზოგადოებისთვის არაერთხელ შუა თითების მჩვენებელი და საპატრიარქოსთან არაერთი ბინძური აქციის მომწყობი, ქალბატონი ნატა ფერაძე.

მოკლედ, შორს წაგვიყვანს ჩამოთვლა, ლეგიონია მათი სახელი....

მეუფეო, ჩვენი, მრევლის უმორჩილესი თხოვნაა, ნუ შეუშვებთ მეუფე სპირიდონის მიერ ნასაზრდოებ, რუდუნებითა და დიდი გულისხმიერებით აღზრდილ ამ პატარა ყლორტებთან ამ უბილწეს, სატანურ იუნისეფებსა და ვორლდ ვიჟენებს, ამ ლომჯარიებს, სალომე ბარკერებს, კობა ბიწაძეებს, ხატია ახალაიებს, ნატა ფერაძეებს.

ამ, ჩვილთა მუცელში მკვლელობის ლობისტებს, პედერასტებს, წულთმხრწნელებს, პედოფილებს, სექტანტებს, ღვთის მგმობელებს....

მეუფეო, კაცობრიობის მტრობაში ჩამდგარ სიბინძურეში მყოფ ამ წარმომადგენლებთან თითოეული ჩვენგანი ჩვენს შვილებს არათუ უშუალო კონტაქტში, არამედ სათოფეზეც კი არ ვაკარებთ.

და, რა თქმა უნდა, იმავეს იზამდნენ ამ პანსიონს შეფარებული საწყალი, უპატრონო ბავშვების მშობლებიც, ქმედებაუნარიანნი რომ იყვნენ.

მეუფეო, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ შეუშვებთ ამ გავეშებულ ლიბერასტებს ბავშვებთან. ისინი ხომ უკვე თქვენიც, მეუფე სპირიდონისა და ჩვენი ყველას შვილები არიან.

მათ იქ შეშვებას, მეუფეო, ანუ მათ გაუმაძღარ ხახაში ბავშვების პირდაპირ ჩაყრას ბევრად სჯობს, საერთოდ დახუროთ ეგ პანსიონი და, ვინც კი დარჩა, პირდაპირ ქუჩაში გააგდოთ, რადგან მაგ შემთხვევაში მათ გადარჩენის ბევრად მეტი შანსი ექნებათ....

**ქრისტესმიერი სიყვარულით, თქვენი მრევლი:**

„ბავშვთა უფლება საზოგადოების“ თავმჯდომარე
გურამ ფალავანდიშვილი;
ახალგაზრდულ ცენტრ „ზნეობის“ დამფუძნებელი
დავით ლორთქიფანიძე;
ილია მარგველანი;
შორენა ჩიბურდანიძე;
ელენე ბაქრაძე;
ლაშა მაისურაძე;
ნიკოლოზ კილასონია;
მარინე რჩეულიშვილი

(სულ ათასამდე ხელმოწერა. ხელმოწერები გრძელდება)

®

# „კობახიძე იქნება „ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი“

## ლადო სადღობელაშვილი: „კობახიძე პირდაპირ დაპირისპირებაშია გახარიასთან. ამათი დაპირისპირება კი პირდაპირ ურტყამს „ქართულ ოცნებას“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.**

***— ლადო, 20 ივნისი იყო გუშინ. ირაკლი კობახიძის და ზოგადად „ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებებიდან ისე იკვეთება, თითქოს ყველაფერში მხოლოდ გიორგი გახარიაა დამნაშავე. ეს ისრების სხვაზე გადატანა და პასუხისმგებლობის თავიდან აცილება ხომ არაა ხელისუფლების მხრიდან?***

— რაც შეეხება კობახიძის განცხადებას, მე მას ვეთანხმები გახარიასა და 20 ივნისთან დაკავშირებულ განცხადებებში. კარგად გაიხსენოს თქვენმა მკითხველმა, რას წარმოადგენდა გიორგი გახარია 2018-2019 წლებში. ის იყო „ქართული ოცნების“ მძიმე ხელი. ადამიანი, რომელიც აკეთებდა იმ საქმეს, რომელსაც არ აკეთებდნენ, ან ვერ ბედავდნენ „ოცნების“ სხვა ძალოვანი მინისტრები. პირდაპირ ვთქვათ, „ქართული ოცნების“ არც ერთ ძალოვან მინისტრს არ უხმარია ძალა თავის მოსახლეობაზე იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს მოახდინა ბატონმა გახარიამ.

***— რისი თქმა გინდა, იგივეს ფიქრობ, რომ მხოლოდ გახარიაა დამნაშავე?***

— შესაძლოა, გახარია რაღაცა სახის კონსულტაციებს გადიოდა ბიძინა ივანიშვილთან, მაგრამ თვითონ გახარია ამბობს იმას, რომ მე ვიყავი საკუთარ გადაწყვეტილებებში აბსოლუტურად დამოუკიდებელიო. ანუ პირდაპირ იღებს თავის თავზე ყველა პასუხისმგებლობას. ბიძინა ივანიშვილს საერთოდ არ ახსენებს.

***— ბევრს გონია, რომ ამას მიზანმიმართულად აკეთებს, რათა ბიძინა ივანიშვილს აარიდოს ეს ყველაფერი.***

— მე ეჭვი მეპარება, რომ ასეა. რაღაც მსგავსიც რომ ყოფილიყო, კბილს აუცილებლად გაკრავდა.

***— გადაამეტა სპეცრაზმმა, შეცდომა დაუშვა გიორგი გახარიამ, მაშინ ამდენი ხალხი რატომ დააპატიმრეს 20 ივნისის საქმეზე თუ მხოლოდ გახარიას ბრალეულობა იყო?***

— იმიტომ, რომ მაშინ პატიმრობის ბრძანებებს ბატონი გახარია გასცემდა და თავის თავს ხომ არ დაიჭერდა?! საკუთარი ქმედება გაამყარა, აი შეჭრას აპირებდნენ და პოლიციამ გადაგვარჩინა. უფრო ზუსტად, გახარიამ გადაგვარჩინა. გახარიას როდესაც უწოდებენ კარგ კრიზისმენეჯერს, ის ამ კრიზისების კარგი შემქმნელიც არის. მერე ამ კრიზისების განმუხტვაც კარგად გამოდის.

***— იმ დროს, „ქართული ოცნება“ და გიორგი გახარია, ერთი და იგივე იყო. ახლა არიან ისინი ცალ-ცალკე. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ „ოცნება“ ცდილობს ხელი დაიბანოს და ყველაფერი გახარიას დაბრალდეს. მხოლოდ გახარია იყო ამხელა სპეცოპერაციაზე პასუხისმგებელი?***

— ჯერ ერთი, ეს ძალიან დიდი სპეცოპერაციაც არ ყოფილა, რომელსაც ვერ გაუმკლავდებოდა ერთი ძალოვანი მინისტრი.

***— თუ ყველაფერში დამნაშავე გახარია იყო, თუ მას აბრალებენ ყველაფერს, მაშინ რატომ არ გაუშვეს და რატომ დააწინაურეს?***

— აი აქ უკვე, რა თქმა უნდა, იკვეთება, ბიძინა ივანიშვილის როლი. ბიძინა ივანიშვილის გარეშე, გახარია ვერ დაწინაურდებოდა.

***— მაშინ გამოდის, რომ ივანიშვილმა მოუწონა მას საქციელი. როდესაც ატარებ ასეთ სპეცოპერაციას და შემდეგ გაწინაურებენ, გამოდის, რომ მოსწონთ შენი ნამუშევარი. ასეა?***

— ნაწილობრივ გეთანხმები, ალბათ მოუწონა, მაგრამ მე ვთვლი, რომ ივანიშვილიც და საზოგადოებაც შეცდომაში იყო შეყვანილი. თავიდან ბოლომდე! ანუ გახარია გამოდგა კარგი აფერისტი, რომელმაც შეფუთა ეს ყველაფერი, მერე თვითონვე მოაგვარა ეს ყველაფერი და შემდგომ თავი გმირად წარმოაჩინა და თავიც დააწინაურებინა. მე ასე ვუყურებ ამას. როდესაც საუბარი მიდის ჯერ გავრილოვის შემოშვებაზე, ვინ არის პასუხისმგებელი საზღვარზე?! შსს! ვინ იყო გახარია? შს მინისტრი. როდესაც პარლამენტის წინ ხალხი გროვდებოდა, ამაზეც შსს იყო პასუხისმგებელი. მაშინ ბახტაძეს კაციშვილი არაფერს ეკითხებოდა. ისე მოქმედებდნენ, როგორც უნდოდათ. გავრილოვის შემოშვებაზეც შსს იყო პასუხისმგებელი. იმ მიტინგზე მისულები და ყველაზე აქტიური ტიპები იყვნენ ფეხბურთის გულშემატკივრები. მათ ტაში და შეძახილი „დამულამებული“ ჰქონდათ. ნავარჯიშები ადამიანები იყვნენ იქ, რომლებიც ერთნაირად უკრავდნენ ტაშს და ერთნაირ შეძახილებს აკეთებდნენ.

***— ამით რისი თქმა გინდათ?***

— იმის, რომ ეს დაქირავებული გულშემატკივრები შსს-ს დაქვემდებარებაში იყვნენ. ანუ მათაც გახარია მართავდა. მუხტს არ აგდებდნენ აქციაზე. ზუსტად ვიცი, რომ ამ ხალხს, რომლებიც კლუბების გულშემატკივრები არიან, აკონტროლებს შსს. ჯაჭვი კი ასე იკვრება: შემოუშვა შსს-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „საქართველოში ბევრ ერთმანეთისგან განსხვავებულ პარტიას ერთი მეპატრონე ჰყავს“

## მამუკა გიორგაძე: „სახელმწიფოს დასუსტება და ინსტიტუტების მოშლა რუსეთის ამოცანებში შედის“

მარიამ მჭედლიშვილი

**რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.**



***– წინა ინტერვიუში განაცხადეთ, რომ 30 წლის განმავლობაში საქართველოს არც ერთმა ხელისუფლებამ არ გაატარა არც ერთი დასავლური დემოკრატიული რეფორმა. ისიც თქვით, რომ დავწინაურდით ლგბტ-საკითხებში. ამჟამად ქვეყანაში პოლარიზაციას და ვნებებს სწორედ ეს თემა იწვევს: „თბილისი პრაიდის“ მიერ 5 ივლისიდან დაანონსებულ აქტივობას რადიკალურად განწყობილი მოწინააღმდეგეები ჰყავს.***

– მადლობა აქცენტების სწორი დასმისათვის. მართლაც, არ განხორციელებულა და ბოლომდე არ მიყვანილა არც ერთი რეფორმა. როცა ვსაუბრობთ დასავლურ ღირებულებებზე, ვგულისხმობთ იმას, რომ ეს იმავდროულად არის ქართული ღირებულებები და ჩვენ ამის იმპორტირება არ გვესაჭიროება. დასავლეთში დიდი ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებებს, თვითმმართველობას, დამოუკიდებელ და ძლიერ სასამართლოს, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას. დემოკრატიულ სახელმწიფოებში უზრუნველყოფილია ყველას უფლებები. რასაკვირველია, უმცირესობებსაც იცავენ. საქმე ისაა, რომ ჩვენსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის დიდი სხვაობაა.

***– რა სხვაობა?***

– დასავლეთში ლგბტ-საკითხები არის ერთ-ერთი 100 მთავარ თემას შორის. ჩვენთან ასე არაა. ბოლო პერიოდში საქართველოში ლგბტ-საკითხი, „ღირსების მარშის“ გამართვა-არგამართვა გახდა ყველაზე მთავარი. მან გადაფარა ყველა პრობლემა. პოლიტიკაც ეს არის, ეკონომიკაც, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრებაც. არ მახსოვს, როდის განიხილეს ტელეარხებზე აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემები. თავის დროზე, ცხინვალის რეგიონში 60 000 კაცი ცხოვრობდა. 100 000 ოსი დასახლებული იყო დანარჩენ საქართველოში. ჩვენ ერთმანეთთან შესანიშნავი ურთიერთობა და ძმობა გვქონდა. იმის მაგივრად, რომ ვიფიქროთ მათთან, ასევე აფხაზებთან მისასვლელ გზებზე, სხვა გადაუჭრელ საკითხებზე, მთელ დროსა და ენერგიას ვხარჯავთ ლგბტ-თემატიკაზე.

***– ამ პროცესს თან ახლავს ანტიდასავლური პროპაგანდა. მოსახლეობაში ინერგება აზრი, ლიბერტარიანული და ლიბერალური მიმართულების პოლიტიკური პარტიების უკან დასავლეთი დგას.***

– დასავლეთი მოგვიწოდებს, მივხედოთ საარჩევნო, სასამართლო რეფორმებს, ავაშენოთ ინსტიტუტები. საზოგადოების ჯგუფებად დაყოფა და ერთმანეთთან დატაკება არ შედის დასავლეთის ინტერესში. ვინც ცდილობს ხალხის მთელი ყურადღების გადატანას ამ თემაზე, იმას არ აწყობს რეფორმების გატარება, მაგალითად, ნორმალური სასამართლო სისტემის, ასევე თვითმმართველობის ჩამოყალიბება. არასტაბილურობა, რადიკალების შეჯახება, ეკლესიაზე მიზანმიმართული შეტევები არ მომდინარეობს დასავლეთიდან. აგერ, 4 თვეა დარჩენილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე და კაციშვილს არ ახსენდება, რომ არ გვაქვს ნამდვილი თვითმმართველობა, რომ გასაზრდელია იმ ერთეულების უფლებები, სადაც უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობა. მაგალითად, ჩოხატაურს, ჩხოროწყუს და სხვებს მიეცეთ თავისი მიწების განკარგვის უფლება. სოფლები მთლად უუფლებოა. მათთვის იურიდიული ტერმინიც კი არ არსებობს.

***– ნამდვილი თვითმმართველობა სხვა დროსაც არ ახსოვდათ. მომავალი არჩევნები სხვა დატვირთვის მატარებელიცაა და თვითმმართველობაზე, თქვენ გარდა, ალბათ, არავინ ილაპარაკებს.***

– ყველას აინტერესებს შეთანხმებაში ჩაწერილი 43%. სადაც შეგვეძლება, ჩვენ ვილაპარაკებთ თვითმმართველობაზე. არჩევნებზე, სადაც შესაძლებელი იქნება, კანდიდატებსაც წამოვაყენებთ.

***– ლგბტ-პრაიდის გამო დაპირისპირება ვიღაცის ინტერესში შედის?***

– ცხადია. სპორტში არის ასეთი წესი – ერთ ტურნირში, უეფას წესდებით, ერთ მეპატრონეს არ შეიძლება ჰყავდეს ორი გუნდი. ქართულ პოლიტიკაში ამის საწინააღმდეგო (არაოფიციალური) ტრადიციებია განვითარებული.

***– რომელი ტრადიციები?***

– ერთ მეპატრონეს ჰყავს 15 და მეტი პოლიტიკური პარტია. ეს განსხვავებული ძალებია. მათი წარმომავლობა ინიღბება. ზოგი პროდასავლურის როლს თამაშობს, ზოგი – ეროვნულის, ზოგი – პრორუსულის. ეს არის რუსული სპეცსამსახურების სფერო. 45 წელიწადია ვმონაწილეობ და ვაკვირდები პროცესებს. როცა ვსაუბრობ რუსეთის აქტიურ მონაწილეობაზე საქართველოს პოლიტიკაზე, ვეყრდნობი არა მარტო ჩემი დაკვირვების შედეგებს, არამედ, სარწმუნო ინფორმაციასაც. რუსეთს უნდა საქართველოს სახელმწიფოს ნგრევა. სახელმწიფოს დასუსტება და ინსტიტუტების მოშლა რუსეთის ამოცანებში შედის. კრემლი თბილისში ჯარს ვერ შემოიყვანს. ახლა კი არა, 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი მოვლენების შემდეგ გაიყვანა რუსეთმა არმია დედაქალაქის ქუჩებიდან. ტანკების შემოყვანის მაგივრად რუსეთი ეწევა დამანგრეველ მუშაობას. ამაში მას ეხმარებიან ადგილობრივი პოლიტიკოსები. ვიღაცას რომ ისინი მედასავლეთეები ჰგონია, ეს არაფერს ნიშნავს. შტირლიცზეც ეგონათ, რომ გერმანიას ემსახურებოდა, სინამდვილეში ის სტალინის საქმეს აკეთებდა. მიმდინარეობს ბრძოლა სახელმწიფოს, ასევე ეკლესიის წინააღმდეგ. იმის მაგივრად, რომ სახელმწიფო ვაშენოთ და რეფორმები ვატაროთ, დაკავებული ვართ სხვა საკითხებით. ცუდია, რომ ამ ბინძურ საქმეში მონაწილეობს სახალხო დამცველი.

***– კერძოდ?***

– სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია მიკერძოებულია, მათ შორის, საეკლესიო თემატიკის მიმართ. მან გამოამჟღავნა ანტიეკლესიური მოქმედებები. ეს გამოჩნდა ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის საკითხში. ეს პანსიონი საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია. ლგბტ-პრობლემებსაც არასწორად წარმოაჩენს. არ მომწონს სახალხო დამცველის საქმიანობა, მაგრამ მისი გადაყენების მოთხოვნა არასერიოზულად მიმაჩნია.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ლომჯარიას არავინ არაფერს ჰკითხავს. პასუხი უნდა მოვთხოვოთ იმას, ვინც ლომჯარია დანიშნა.

***– „ქართული ოცნების“ ახლანდელი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და პარლამენტის უმრავლესობის სხვა წევრები მიზანშეუწონლად მიიჩნევენ „ღირსების მარშის“ გამართვას ლგბტ-ღონისძიებების ფარგლებში. გგონიათ, რომ მათი განცხადებები თვალთმაქცურია?***

– დიახ, ეს არის ფარისევლობა. მათი როლია, სიტყვიერად შეეწინააღმდეგონ პრაიდს, ლომჯარიამ სხვა როლი უნდა შეასრულოს. არის კიდევ ერთი პარტია – „გირჩი“. მისი ლიდერები „გასაბერი ეკლესიის“ საშუალებით ხელს უშლიდნენ გაწვევას საქართველოს ჯარში, ასევე საჯაროდ ახდენდნენ მარიხუანის მოხმარებას, მოხმარების რეკლამირებას. ეს არის სისხლის სამართლის წესით დასჯადი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებები. არავინ დასჯილა. ხდება ასეთი გამრუდებების სტიმულირება. დასავლელი პარტნიორები არ გვეუბნებიან, რომ სახელმწიფო უნდა დავანგრიოთ და ლგბტ-საკითხები უნდა იყოს ყველაფრის სათავე. იმისთვის, რომ უმცირესობები დაიცვა, უმრავლესობის უფლებები უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

***– ჩვენთან არ არის უზრუნველყოფილი?***

– ჩვენთან ყველაფრის პრობლემა დგას. დასავლეთში ჯერ დემოკრატია დაამყარეს, უმრავლესობის უფლებები დაიცვეს, მერე მიხედეს ლგბტ-თემის უფლებებს. იქ ეს ერთ-ერთი საკითხია. რასაც მოგვიწოდებენ – საარჩევნო, სასამართლოს რეფორმების განხორციელებას – იმას არ ვაკეთებთ. ხდება ამ პრობლემების გადაფარვა და რადიკალების გააქტიურება ორივე მხრიდან. ხალხი ნიჰილიზმშია. ბევრს არ ესმის, რატომ უნდა ვიყოთ დამოუკიდებელი.

***– ამას ახსნა სჭირდება?***

– პროცესები არასწორად წავიდა. რუსეთის მონდომებით, ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობამ ადამიანებს გაუჩინა პესიმიზმი. ადამიანებს ვერ გაუგიათ, რომ დამოუკიდებლობა მომგებიანია. ქვეყნის დამოუკიდებლობა ისეთივე სასარგებლოა, როგორც საკუთარი ბინის ან სახლის და ბიზნესის ქონა. რუსეთის სპეცსამსახურებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ საქართველოს მოსახლეობას დამოუკიდებლობისადმი არასწორი მიდგომა ჰქონოდათ.

***– ეკლესიაზე შეტევა ახსენეთ. რამდენად სწორია, როცა ამ საკითხს პოლიტიკური პარტიები საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ?***

– ამ საკითხს ვერავინ ვერ გამოიყენებს. ვერც ერთი პარტია ვერ გამოიყენებს ეკლესიის თემას საკუთარი მიზნებისთვის. ამის უფლებას უფალი არ მისცემს. როცა უფალთან ვიყავით, მაშინ ჰქონდა საქართველოს გამარჯვებები. ისტორიულად ასე ხდებოდა. უახლეს ისტორიაში ამის მაგალითია საქართველოს დამოუკიდებლობა. სამწუხაროდ, ჩვენ ეს დამოუკიდებლობა ვერ გამოვიყენეთ და დავუშვით, რომ პროცესები არასწორად განვითარებულიყო. თუმცა, მდგომარეობის გამოსწორების შანსი არსებობს.

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# „კობახიძე იქნება „ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი“

## „20 ივნისის მთავარი დამნაშავე გახარიაა – შემოუშვა შსს-მ გავრილოვი, შსს-მ მოაბილიზა ის დამრტყმელი ძალა, რომელიც იყო აქციაზე და შსს-მვე დაარბია“

მ გავრილოვი, შსს-მ მოაბილიზა ის დამრტყმელი ძალა, რომელიც იყო აქციაზე და შსს-მვე დაარბია. აი ამ სამ ეტაპში, საკვანძო პიროვნება იყო გახარია. შემდეგ კი ამ ყველაფერს მელია ჩაუდგა სათავეში. მე თავიდანვე ვამბობდი, რომ მელია და გახარია ერთმანეთთან რაღაც დოზით შეკრულები არიან-თქო. ერთ თამაშს თამაშობენ-მეთქი, ჯერ კიდევ როდის ვიძახდი. დღეს „ქართული ოცნება“ ამას ხმამაღლა ლაპარაკობს და იძახის, რომ გახარია, სააკაშვილთან არის შეკრულიო. ეს ჯაჭვიც სწორედ ამით იკვრება.

***– მაშინ რატომ დააწინაურეს გახარია თუ ეს სიმართლეა?***

– ამ ტყუილზე აყვა გახარიას საზოგადოება, რომ მან გადაარჩინა ქვეყანა. როდესაც მან ეს ვითომ „პრობლემა“ აღმოფხვრა, შემდეგ როგორც საზოგადოებაში, ისე „ოცნების“ რიგებში ჩამოყალიბდა გახარია, როგორც კერპი. აი, გმირი გახარია, მთავრობა გადაარჩინა დამხობას. თვითონვე დაგეგმა, განახორციელა, მელია ჩაუყენა ამ ყველაფერს სათავეში და შემდეგ თვითონვე აღმოფხვრა ძალიან მალე. როგორ წარმოგიდგენიათ ასეთი დონის აქცია, ორ-სამ დღიანი?! თუ საქმე დამხობაზე მიდის და რევოლუციურ სცენარს ავითარებს ოპოზიცია, ასე მალე არ მთავრდება ეს ამბავი! თავად შექმნა ეს პოლიტიკური კრიზისი, შემდეგ აღმოფხვრა, თანაც ყველაფერი დაამთხვია იმ დროს, როდესაც კობახიძე აქ არ იყო. მოათხოვნინა და მოახერხა კობახიძის ჩამოგდებაც, იმიტომ, რომ იმ დროს კობახიძე ძალიან ძლიერი იყო.

***– და მისი მოშორება სცადა?***

– დიახ და აქედან დაიწყო შემდეგ კობახიძის და გახარიას დაპირისპირება და დღემდე ასე გრძელდება. მივიღეთ ის, რომ დღეს „ქართული ოცნება“ პრაქტიკულად დაჩაჩანაკებულია. ნაცმოძრაობა მოხსნილია დღის წესრიგიდან და დღეს ვუყურებთ „ქართული ოცნების“ და გახარიას პარტიის დაპირისპირებას. ერთმანეთს თავს ესხმიან, სატოპკეებს უწევენ და საშინელი საყურებელია ეს ყოველივე. ერთმანეთს ნეპოტიზმში ადანაშაულებენ და რომელი ერთი გითხრათ. ეს ყველაფერი კი ბუმერანგივით უკან უბრუნდებათ. ერთმანეთს ჭამენ ესენი და ამ დროს კი ჩრდილში გადასული ნაცმოძრაობა ძლიერდება, ფრთებს შლის და ეს როგორ მოუბრუნდებათ, არავინ იცის. ეს ყველაფერი, იცით, რისი ბრალია?!

***– რისი?***

– სამი თვეა, რაც ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა და რატომღაც ჯერ კიდევ ვერ შეძლო, რომ მოეკრიბა ძალა, გაეშალა ფრთები და პარტია მოექოქა სათავისოდ.

***– რა ან ვინ უშლის ხელს ღარიბაშვილს?***

– კობახიძე. ის პირდაპირ დაპირისპირებაშია გახარიასთან. ამათი დაპირისპირება კი პირდაპირ ურტყამს „ქართულ ოცნებას“. სანამ იქნება, ირაკლი კობახიძე პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, მანამდე „ოცნებას“ არაფერი ეშველება.





***– მთელი სასამართლო სისტემა, მთელი კლანი კობახიძის ხელშიაო. ასე როგორ გააძლიერეს კობახიძე, რომ ახლა ვეღარ ერევიან?***

– ესეც ძალიან საინტერესო ნიუანსია. წარმოიდგინეთ, მთელი დასავლეთი იძახის იმას, რომ ნუ ნიშნავთ უვადოდ მოსამართლეებსო, ესენი კი უტიფრად აგრძელებენ მოსამართლეების დანიშვნას. ანუ ხელოვნურად და მიზანმიმართულად აღრმავებენ ამ სასამართლო კრიზისს. რა ვქნათ, როდემდე ვიყოთ ამ სიტუაციაში?! როდემდე ვუყუროთ მათ უაზრო დაპირისპირებას.

***– წინ არჩევნებია, გასული შაბათ-კვირა, მთავრობამ ბორჯომში გაატარა. ზედაპირული განცხადებების გარდა, გამოვიდა ინფორმაციები, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისთვის ემზადებიან. რა ხდება ხელისუფლების შიგნით?***

– მე ახლა დავეყრდნობი იმ ინფორმაციას, რომელიც მომაწოდეს. სამწუხაროდ, ეს არ არის კარგი ინფორმაცია და ვინატრებდი, რომ ეს არ გამართლდეს. ჯერ ერთს ვიტყვი, რომ ამ ჩინოვნიკების განცხადებების უკან, დღეს მაინც მთავარია ბიძინა ივანიშვილის როლი. სწორედ ის იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და შემდეგ ესენი ახმოვანებენ. რაც არ უნდა იძახოს კობახიძემ, რომ არჩევნებს მე ვატარებ და კალაძე იქნება მერის კანდიდატურაო, მომკალით და მე ამის არ მჯერა. ყველაფერი იქნება ისე, როგორც ბიძინა ივანიშვილი იტყვის. კობახიძე ვერ გადაწყვეტს ამ საკითხებს, ამას წყვეტს ივანიშვილი.

***– და რა ინფორმაცია გაქვს?***

– იმედია, არ გამართლდება ეს ინფორმაცია, რომელიც მე მაქვს. როგორც მითხრეს, ბორჯომში შეკრებისას გადაწყდა, რომ კობახიძე იქნება საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, ანუ მთლიანად ის წარმართავს არჩევნებს.

***– მერე და ამას დათანხმდება კალაძე?***

– აქ კალაძის დათანხმებაზე არ არის საქმე. მე თუ მკითხავთ, კალაძეს აღარავინ ეკითხება, რა უნდა და რა – არა. უნდა მერობა თუ არ უნდა. მას ისე აქვს შეყოფილი ფეხი ამ სიმახინჯეში, რაც დღეს ქალაქში ხდება, ვგულისხმობ ამ სიმახინჯეს, ამ მშენებლობებს, რომ მას არჩევანის საშუალება აღარ აქვს. თუ კობახიძეს ჩააბარებენ არჩევნებს, ეს იქნება სრული კრახი და კატასტროფა! პირდაპირ გეუბნებით, ეს იქნება „ქართული ოცნების“ საბოლოოდ დასამარება.

***– თითქოს მიზანმიმართულად მიდიან ამ დასამარებისკენ. ასეა?***

– სიტყვები არ მყოფნის იმის ასახსნელად თუ რა ხდება ზოგადად ქვეყანაში.

***– გახარია ხომ არ იბარებს ხელისუფლებას? თანაც როგორი შეხვედრები ჰქონდა დასავლეთში...***

– ამას მნიშვნელობა არა აქვს, ისეთი შეხვედრა ჰქონდა ღარიბაშვილს ერდოღანთან, ამას მიაქცია ვინმემ ყურადღება? ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. ახლა რთულია ამ საკითხზე კამათი. ამ სიტუაციას რომ ვუყურებ, მახსენდება კასრში ჩაყრილი ვირთხები, რომლებმაც ერთმანეთი უნდა დაჭამონ. ხოლო კალაძე და ღარიბაშვილი ამ პროცესებს ჩამოშორებული არიან. კობახიძის და გახარიას გუნდები ჭამენ ერთმანეთს. ამ დაჭმიდან კი ორივე წაგებული გამოვა, ამ ბრძოლას გამარჯვებული არ ეყოლება. რაც არ უნდა თქვან, ჭკვიანი კაცია ეს ბიძინა ივანიშვილი. იშორებს ერთსაც და მეორესაც. თუმცა, თუ ჩემი ინფორმაცია გამართლდა და არჩევნებს კობახიძე ჩაატარებს, ეს იქნება დასასრული „ქართული ოცნებისა“. ესეც შეიძლება მიზანმიმართულად ხდებოდეს, რომ მერე რიგგარეშე ჩაინიშნოს.



### გიორგი ფხაკაძე: „აფეთქება წელსაც ბათუმიდან დაიწყება, ოღონდ შარშანდელზე გაცილებით მწვავე იქნება“

„ექსპერტის ჯანდაცვის საკითხებში, გიორგი ფხაკაძის მოსაზრებით, ეპიდაფეთქებას, ოღონდ გაცილებით მწვავეს, ახლაც ბათუმიდან უნდა ველოდოთ.

მისი შეფასებით, ინდური შტამის გავრცელება სიტუაციას შარშანდელზე მეტად დაამძიმებს.

„ჩვენ გვაქვს ძალიან მოკლე მეხსიერება. შარშან ზუსტად იგივე იყო – დაიწყო აფეთქება ბათუმიდან, წელსაც იქნება იგივე ისტორია, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ უფრო მწარე იქნება. გვექნება ინდური შტამი, ე.წ. დელტა შტამი იქნება უფრო ძლიერი, გავრცელება იქნება ძლიერი, მოსახლეობის იმუნური სისტემა იქნება უფრო დაქვეითებული, რადგან 1.5 წელი ხალხი ფიზიკურად დაიღალა, აი, ამას ელოდება ვირუსი, როდესაც თქვენ იტყვით „რაც იქნება, იქნებაო“, აი, მაშინ იგებს ვირუსი“ – აცხადებს ფხაკაძე.

# სასწრაფო არ მოვიდა და დაჭრილი მეზობელმა წაიყვანა

## ბოლნისში ახალგაზრდა კაცი მოკლეს



19 ივნისს ბოლნისში მკვლელობა მოხდა. ახალგაზრდა მამაკაცს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. მას ჭრილობა ზურგის არეში ჰქონდა მიყენებული და ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მამაკაცი დმანისიდან იყო, ის ბოლნისში მუშაობდა და მეგობართან ერთად დროებით ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. გარდაცვლილის ცხედარი პროზექტურაშია გადასვენებული.

38 წლის მამაკაცის დაჭრის შემდეგ ადგილობრივებმა 112 გამოიძახეს, მაგრამ სასწრაფო არ მოვიდა, რის გამო ერთ-ერთმა მეზობელმა დაჭრილი თავად გადაიყვანა საავადმყოფოში.

სისხლიანი გარჩევა ბოლნისში მიტოვებულ სახლში მოხდა. ჩხუბში 30-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა. ადგილობრივებმა 5-ზე მეტი გასროლის ხმა გაიგეს. თვითმხილველები ამბობენ, რომ სისხლიანი დაპირისპირების დროს დაიჭრა კიდევ ერთი ახალგაზრდა, თუმცა მას საავადმყოფოსთვის არ მიუმართავს, შესაბამისად, უცნობია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ამ დროისთვის პოლიციას დამნაშავეების იდენტიფიცირება არ მოუხდენია. სამართალდამცავები ამ დრომდე ეძებენ ჩხუბში მონაწილე პირებს.

დალუქულია სახლთან მდგარი ავტომობილები, რომლებიც, სავარაუდოდ, კონფლიქტში მონაწილე პირებს ეკუთვნით.

გამოძიება სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# სამტრედიაში 1 ადამიანი მოკლეს

18 ივნისს სროლა და კრიმინალური გარჩევა მოხდა სამტრედიაში.

ორმხრივი სროლის შედეგად დაჭრილია 2 ადამიანი. ორივე მათგანი კლინიკაში გადაიყვანეს, თვითმხილველების თქმით, გასროლას წინ შელაპარაკება უძღოდა.

ავტომატიდან სროლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. გარეთ გამოსულებს კი უგონო მდგომარეობაში მყოფი ადამიანები დახვდათ.

19 ივნისს დაჭრილი 32 წლის გრიგოლ ხონელიძე საავადმყოფოში გარდაიცვალა. რამდენიმესაათიანი ოპერაციის მიუხედავად, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

ახალგაზრდას სხეულის სხვადასხვა არეში, რამდენიმე ცეცხლნასროლი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

ამ დრომდე კლინიკაშია მეორე დაჭრილი.

მომხდარზე გამოძიება 19-109-ე მუხლით არის დაწყებული.

# მინდია გოგოჭური უგონო მდგომარეობაში ციხის კლინიკაში გადაიყვანეს

მსჯავრდებული მინდია გოგოჭური პენიტენციური დაწესებულებიდან კლინიკაში უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გოგოჭურის ადვოკატმა განუცხადა, მსჯავრდებული 30 დღეა, დაკავებას და 4-წლიან სასჯელს შიმშილობით აპროტესტებს.

მინდია გოგოჭური „ვივამედის“ კლინიკაშია მოთავსებული.

– უკვე 30 დღეა, რაც მინდია გოგოჭური შიმშილობს, ის ქუთაისის მე-2 დაწესებულებაში იმყოფებოდა, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ე.წ. მატროსოვის ციხეში გადაიყვანეს. თუმცა, გუშინ გონება დაკარგა და ახლაც ამ მდგომარეობაში იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში. როცა საავადმყოფოში გადმოიყვანეს, აზრზე მოვიდა, თუმცა, იქაც გონება დაკარგა და მძიმე მდგომარეობაშია, დღის პირველი მონაცემებით, ის უგონო მდგომარეობაში იყო.

გოგოჭური უკანონო დაკავებას, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს უკანონო, დაუსაბუთებელ განაჩენს აპროტესტებს იარაღის ჩადების საქმეზე. მან პოლიციელების კონკრეტული სახელები და გვარებიც დაასახელა, რომლებმაც მას იარაღი ჩაუდეს და არამხოლოდ იარაღი, ნარკოტიკული საშუალებაც, რომლის მოხმარებაც მას არ დაუდგინდა, – აცხადებს ადვოკატი.

მინდია გოგოჭური 2020 წლის 19 ივლისს იარაღის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. მას სასამართლოს გადაწყვეტილებით, 4-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.

# გურიაში ქალმა, 3 შვილთან ერთად, 30 საფლავი გაძარცვა



გურიაში სასაფლაოების გაქურდვის ბრალდებით პოლიციამ ფოთში მცხოვრები 32 წლის ქალი დააკავა. ახალგაზრდა ქალი კომენდანტის საათის დროს, 3 მცირეწლოვან შვილთან ერთად, სასაფლაოებს ქურდავდა.

გამოკითხვის შემდეგ ის გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს.

ადგილობრივები მომხდარში ხელისუფლებას ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ ადამიანები შიმშილის ზღვარზე არიან და დანაშაულის ჩადენა მძიმე სოციალური პირობების გამო უწევთ.

– იმაზე მეტად მტკივნეული, რომ ჩემი მშობლების სასაფლაო გაძარცვა იმ ქალბატონმა, ის არის, რომ იმ ბავშვებს რა ეშველებათ? – ამბობს ერთ-ერთი დაზარალებული, ამირან გიგინეიშვილი.

– ამ ეტაპზე მას 30-ზე მეტი საფლავი აქვს გაძარცვული. ისე, ნაპატიმრებია სხვა დროს იმავე თემაზე, – უთხრა მთავარს დაზარალებულმა ნონა ზოიძემ.

# „მემუქრებოდა, ყელს გამოგჭრი და მოგკლავო“

## რუსთავში ხანჯლიანი მამაკაცი გამვლელებს დაერია

19 ივნისს რუსთავში, მეგობრობის გამზირზე, ხანჯლით შეიარაღებული მამაკაცი რამდენიმე პირს თავს დაესხა.

კაცი განსაკუთრებით აგრესიული ქუჩაში გაჩერებული ტაქსის მძღოლის მიმართ აღმოჩნდა, რომელსაც ყელის გამოჭრით ემუქრებოდა.

– მოვიდა და დანას მიტრიალებდა, ყელს გამოგჭრი და მოგკლავო, – უყვება მამაკაცი „ინფო რუსთავს“.

როგორც თვითმხილველები იხსენებენ, შეიარაღებულ კაცს სიტყვიერი დაპირისპირება ფაქტის შემსწრე სხვა პირებთანაც ჰქონდა.

– მოვიდა ამ კაცთან, პირბადე მოგლიჯა და გინება დაუწყო. აქ ერთი ბიჭი იყო ამ დროს და იმან უთხრა – გაჩერდი, რა დღეში ხარო. შენც გიცნობ, იმასაც ვიცნობ, ორივეს მოგაჭრით თავსო, ასე უპასუხა. გაჩერდა ეს კაცი, თორემ შეიძლება დაერტყა, პასუხი რომ გაეცა, – იხსენებს ერთ-ერთი გარემოვაჭრე.

თვითმხილველების თქმით, მამაკაცის მხრიდან მუქარა და სიტყვიერი შეურაცხყოფა დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში გაგრძელდა. თვითმხილველებმა მეგობრობის გამზირზე პოლიცია გამოიძახეს, თუმცა 60 წლამდე კაცი ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცავებმა შეიარაღებული პირის იდენტიფიცირება და პოვნა მალევე შეძლეს.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა მამაკაცი რუსთავის ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაიყვანა, თუმცა სამედიცინო დაწესებულებაში ის არ მიიღეს.

„ჩვენ ფიზიკურად ადგილი არ გვაქვს, ამის შესახებ მოვახსენეთ საპატრულო პოლიციას, შევადგინეთ ოქმი და გავუშვით. ფიზიკურად ვერ მივიღებთ“ – განუცხადა „ინფო რუსთავს“ კლინიკის მორიგე ექიმმა მარიამ მამრიკიშვილმა. რამდენიმესაათიანი ლოდინის შემდეგ, კაცის გადაყვანა გლდანში არსებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოხერხდა, სადაც ის მკურნალობას გააგრძელებს.

# 6 წლის ბავშვის წამებისთვის თბილისში მისი დედა და მამინაცვალი დააკავეს

6 წლის ბავშვის წამებისთვის მისი დედა და მამინაცვალი დააკავეს.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, არასრულწლოვნის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ წამების ფაქტზე, არასრულწლოვნის მამინაცვალი – 1993 წელს დაბადებული ა.ს. და დედა – 1993 წელს დაბადებული მ.დ. თბილისში დააკავეს.

დანაშაული 9-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მ.დ. და მისი მეუღლე – ა.ს. არასრულწლოვანს – 2014 წელს დაბადებულ ვ.დ.-ს დასჯის მიზნით აწამებდნენ, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული



ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ა.ს. და მ.დ. ბრალდებულების სახით, თბილისში დააკავეს. გამოძიების ფარგლებში დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები და ტარდება ყველა შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

არასრულწლოვანი, თავის მცირეწლოვან ძმასთან ერთად, სოციალური მუშაკის მიერ გადაყვანილია უსაფრთხო ადგილას.

საქმეზე გამოძიება არასრულწლოვნის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ წამების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-144 პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.“

გუშინ, 20 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

წყვილის ადვოკატი ამბობს, რომ მედიაში გავრცელებულ ფოტომასალებში, რომლებზეც 6 წლის ბავშვის დაზიანებები ჩანს, წამებისა და ძალადობის ფაქტები არ იკვეთება. მუხრან ღურწკაიას თქმით, უცნობია, საიდან არის სურათები.

ადვოკატმა ჟურნალისტებთან საუბრისას ასევე თქვა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ისინი სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

– ეს სურათები, რომლებიც მედიასაშუალებებში გავრცელდა, დევს საქმის მასალებში. ამ სურათებით წამებისა და ძალადობის ფაქტი არ იკვეთება, იმიტომ, რომ არ ვიცით, საიდან არის ეს სურათები, – თქვა მუხრან ღურწკაიამ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ.

# „ყელს მაინც გამოგჭრი“

## გორში სიდედრზე მუქარისთვის სიძეს 4 წელი მიუსაჯეს

მამაკაცს, რომელიც ყოფილ სიდედრს 2-ჯერ დაემუქრა, გორის სასამართლომ 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საქმე ორი ეპიზოდით გათვალისწინებულ დანაშაულს უკავშირდება.

თითოეულ ეპიზოდზე ბრალდებულს 2 წელი და 6 თვე მიესაჯა, ხოლო საბოლოოდ, სასჯელები ნაწილობრივ შეიკრიბა და პატიმრობის ვადა 4 წლით განისაზღვრა.

გორის რაიონული პროკურატურის პროკურორის, გიორგი კრავეიშვილის განცხადებით, საინფორმაციო ცენტრ 112-ში შევიდა ე. კ-ს შეტყობინება იმის შესახებ, რომ შვილის მეუღლე – კ. ი. მისულია მასთან, აყენებს შეურაცხყოფას და ემუქრება სიცოცხლის ხელყოფით.

პროკურორმა დაადგინა, რომ ალკოჰოლით მთვრალი მამაკაცი ხშირად მიდიოდა სახლში ყოფილ სიდედრთან, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით; რომ მას არ აცოცხლებდა და „ყელს მაინც გამოჭრიდა“.

# ვარკეთილში კაზინო 777-ის დაცვამ მოქალაქეს შუა ქუჩაში სცემა

ვარკეთილში კაზინო 777-ის დაცვის თანამშრომლებმა მოქალაქეს სცემეს. შემთხვევა 17 ივნისს, საღამოს საათებში მოხდა.

დაზარალებულის ინფორმაციით, ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე ის დაცვამ სამორინედან გააგდო, რის გამოც მან კაზინოს თანამშრომლებს შეურაცხმყოფელი ფრაზა მიაძახა.

– რამდენიმე დღის წინ გამომაძევეს ე.წ. კაზინო 777-ის ვარკეთილის ფილიალიდან და რომ ვკითხე, რაზე, აი, ასე მინდაო, დღეს უნდა დაისვენოო. დაახლოებით 7 ის ნახევარი იქნებოდა, აი, ბიბლუსთან ვიდექი, მივდიოდი, ვარკეთილში ვცხოვრობ, მეორე მიკროში. ჩერდება დაცვის „ვიქტორიის“ მანქანა, გადმოდის კაზინო 777-ის დაცვის 2 თანამშრომელი, ერთ-ერთს კარგად ვიცნობ და ულაპარაკოდ, უსიტყვოდ დამცხეს, უმოწყალოდ მცემეს, – ამბობს მოქალაქე.

ინციდენტის შემდეგ მან ადგილზე პოლიცია გამოიძახა, თუმცა სამართალდამცველები ფაქტით არც კი დაინტერესდნენ.

– საპატრულო მალე მოვიდა, მაგრამ აზრი რა არის? ისინი უკვე წასულები იყვნენ. საპატრულო მოვიდა, ვთქვით, რა მოხდა, ჩაიწერეს და წავიდნენ. პროტესტის ნიშნად ხელიც აღარ მომიწერია. სანამ საპატრულო და კრიმინალური პოლიცია მოვიდოდა, მოვიდა აქ აგენტი თეთრი ტაქსით, პრიუსით და რატომ აგინებდიო, ახლა გამომძიებელმა დამირეკაო და დაიწყო გამოძიებაო, – ამბობს დაზარალებული.

ცოტა ხნის წინ ნაცემ მამაკაცს გამომძიებელი დაუკავშირდა, რომელმაც უთხრა, რომ საქმეზე გამოძიება დაიწყო. ამის მიუხედავად, ადგილზე სამართალდამცველები არ გამოჩენილან.

ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ კაზინო 777-ის თანამშრომლები.

# გორის გზაზე მანქანა არხში ჩავარდა და გაზის მილი დააზიანა

გუშინ, 20 ივნისს, გორი-მეჯვრისხევის გზაზე, სავარაუდოდ, მაღალი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა და არხში ჩავარდა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, ავტომობილში ერთი პირი იმყოფებოდა, რომელმაც მსუბუქი დაზიანებები მიიღო.

შემთხვევის შედეგად დაზიანდა გაზის მილი და რამდენიმე სოფლის ბუნებრივი აირით მომარაგება შეფერხდა. ადგილზე სამართალდამცველები მუშაობდნენ, დაწყებულია გამოძიება.

# ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის აჭარაში 55 წლის გ.შ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და უბნის ინსპექტორების სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.შ. დააკავეს.

მას ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ედება.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 147 აბი და 5 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკი. გ.შ.-ის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ასევე ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ტოკარევის კონსტრუქციის პისტოლეტი, „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი და 18 საბრძოლო ვაზნა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი და მე-6 ნაწილებით, ასევე, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

# ირანის ახალი პრეზიდენტი ებრაჰიმ რაისი გახდა



წინასწარი შედეგების თანახმად, ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში ებრაჰიმ რაისმა გაიმარჯვა.

ირანის სასამართლო სისტემის ხელმძღვანელმა 17.8 მილიონი ხმა, ანუ ამომრჩევლების ხმების 62% მიიღო. წინასწარი შედეგების თანახმად, მეორე ადგილზეა მოჰსენ რეზაი 3.3 მილიონი ხმით, მესამეზე კი – ირანის ცენტრალური ბანკის ყოფილი თავმჯდომარე აბდოლნასერ ჰემატი 2.4 მილიონი ხმით.

# ჩინეთის შემდეგ ყველაზე მეტი ვაქცინირებული ევროკავშირშია

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მსოფლიოს 180 ქვეყანაში მიმდინარეობს და ამ დროისთვის გლობალურად ვაქცინების 2.6 მილიარდამდე დოზაა გამოყენებული.

გამოყენებული ვაქცინების რაოდენობა პლანეტის მოსახლეობის 16.9%-ის ორივე დოზით აცრისთვისაა საკმარისი.

მსოფლიოში ვაქცინაცია ყოველდღიურად, საშუალოდ, 38.5 მილიონ ადამიანს უტარდება.

ყველაზე მეტი, 990 მილიონი ვაქცინა ჩინეთში გამოიყენეს. მას ევროკავშირი მოჰყვება 323 მილიონი დოზით. აშშ-ში ვაქცინების 317 მილიონი დოზა გამოიყენეს, ინდოეთში კი – 276 მილიონი.

ისრაელში ორივე დოზით მოქალაქეთა 56.9% აიცრა, ევროკავშირში – 27.7%, აშშ-ში კი – 44.9%.

# რუსეთში თვითმფრინავის ავარიული დაჯდომისას 7 ადამიანი დაიღუპა

19 ივნისს ელ-410 ტიპის თვითმფრინავმა რუსეთის კემეროვოს ოლქში ავარიული დაჯდომა განახორციელა, რის შედეგადაც 7 ადამიანი დაიღუპა, 13 დაშავდა.



ინციდენტი ტანაის აეროდრომზე მოხდა.

ბორტზე 20 ადამიანი იმყოფებოდა, პარაშუტისტები და მფრინავები. ეს იყო საწვრთნელი ფრენა, რომლის დასაწყისშივე ერთ-ერთმა მფრინავმა დისპეტჩერს უთხრა, რომ ძრავი მწყობრიდან გამოვიდა.

დაშავებულთაგან 4 მძიმე მდგომარეობაშია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### ბოროტმოქმედმა მის მიერვე დაჭრილ მამაკაცს საავადმყოფოში მიაგნო და ცეცხლი წაუკიდა



ინდოეთში დამნაშავემ მამაკაცი დაჭრა, შემდეგ მას საავადმყოფოში მიაგნო და ცეცხლი წაუკიდა.

დაშავებული დამოდარ კორი საგარ მადხია-პრედეშის რაიონის სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფებოდა. სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა, თუ როგორ გადაადგილდება საავადმყოფოს ჰოლში სანთებელით ბრალდებული, სახელად მილან რაჯაკი. ამის შემდეგ კი ის ცეცხლს უკიდებს დაშავებულ მამაკაცს. ცეცხლწაკიდებული კორი თავდამსხმელს მისდევს.

პოლიციამ მამაკაცი დააკავა და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დაშავებული სხვა საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც ის დამწვრობის საწინააღმდეგო მკურნალობას გადის. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

### მამაკაცმა არ იცოდა, რომ მანქანაში მომგებიანი ლატარიის ბილეთი ედო

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ გრინვილის მკვიდრი ერთი კვირის განმავლობაში მანქანით დაატარებდა საკუთარი გამდიდრების გასაღებს და ამის შესახებ არ იცოდა. მამაკაცმა მაღაზიაში მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა, მანქანაში შეინახა და დაივიწყა. ერთი კვირის შემდეგ მან ბილეთი შენიშნა, გადაწყვიტა, დამცავი ფენა გადაეფხიკა და გათამაშების შედეგი შეემოწმებინა. შედეგად ამერიკელმა 500 ათასი დოლარი მოიგო. მან გადაწყვიტა, აღარ დაეყოვნებინა და მაშინვე ლატარიის შტაბ-ბინაში გაემგზავრა მოგების მისაღებად. მაღაზია, რომელშიც მამაკაცმა მომგებიანი ბილეთი შეიძინა, ასევე დასაჩუქრდება ხუთი ათასი დოლარით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# გერმანიამ ბრჭყალები გამოაჩინა, საფრანგეთმა და ესპანეთმა დამალეს

**გერმანია-პორტუგალია 4:2**

**მიუნხენი. ალიანც არენა**

0:1 რონალდუ (15), 1:1 დიაში (35სკ), 2:1 გერეირო (39სკ), 3:1 ჰავერცი (51), 4:1 გოსენსი (60), 4:2 ჟოტა (67)

**პორტუგალია:** პატრისიო, სემედუ, რ.დიაში, პეპე, გერეირო, ვ.კარვალიო (რ.სილვა 58), დანილო, ბ.სილვა (სანჩეში 46), ფერნანდეში (მოუტინიუ 64), ჟოტა (ა.სილვა 83), რონალდუ

**გერმანია:** ნოიერი, გინტერი, ჰუმელსი (ჯანი 63), რუდიგერი, კიმიხი, გიუნდოგანი (ზულე 73), კროოსი, გოსენსი (ჰალსტენბერგი 62), ჰავერცი (გორეცკა 73), გნაბრი (სანე 87), მიულერი

ბოლო 15 წლის მანძილზე არაფერი შეცვლილა – გერმანიამ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე პორტუგალია რომ დაამარცხა, მას შემდეგ სულ უგებს. თამაშები კი უფრო გოლუხვი ხდება.

ასე იყო ამჯერადაც და იმის მიუხედავად, რომ აგებდნენ, იოაჰიმ ლიოვის შეგირდებმა მაინც იმარჯვეს – 4:2. ანგარიშს კი ვინ გახსნიდა, თუ არა რონალდუ – ჟოტას პასით ცარიელ კართან დარჩა და 107-ე სანაკრებო გოლი გაიტანა. სულ კი, დიდ ტურნირებზე (მსოფლიო, ევროპა) მე-19 და საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მიროსლავ კლოზეს დაეწია.

შესვენებამდე გერმანელები უკვე წინ იყვნენ. თუმცა, ორივე გოლი პორტუგალიელებმა შეაგდეს საკუთარ კარში. ეს ჯერ დიაშმა გააკეთა, შემდეგ – გერეირომ.

მეორე ტაიმის დასაწყისი კი გოსენსის იყო – ატალანტას მცველმა მეტოქის ფლანგი აიკლო და ჯერ ჰავერცს გაატანინა, შემდეგ თავადაც იხეირა და გერმანია 4:1 დაწინაურდა.

პორტუგალია ეცადა და ერთი გოლი გაქვითა – ჟოტამ თითქოს ინტრიგა დააბრუნა, მაგრამ მისი გუნდის მაქსიმუმი ეს გამოდგა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რობინ გოსენსი**

შესანიშნავი თამაში ჩაატარა გერმანელმა მცველმა, თანაც რონალდუს წინააღმდეგ იდგა. ყველა გოლში მიიღო მონაწილეობა, აქედან ორში – დამამთავრებელში.



**უნგრეთი-საფრანგეთი 1:1**

**ბუდაპეშტი. პუშკაშ არენა**

1:0 ფიოლა (45), 1:1 გრიზმანი (66)

**უნგრეთი:** გულაჩი, ბოტკა, ორბანი, ატ.სალაი, ნადი, ნეგო, კლიაინჰაისლერი (ლოვრენჩიჩი 84), შეფერი (ჩერი 75), ფიოლა, შალაი, ად.სალაი (ნიკოლიჩი 26)

**საფრანგეთი:** ლორისი, პავარი, ვარანი, კიმპემბე, დინი, პოგბა (ტოლისო 76), კანტე, რაბიო (დემბელე 57, ლემარი 87), გრიზმანი, ბენზემა (ჟირუ 76), მბაპე

ფრანგებს პირველ მატჩში გერმანელები ჰყავდათ დამარცხებული, უნგრეთმა კი, დიდი ანგარიშით წააგო პორტუგალიასთან. შედეგად, ყველა დიდიე დეშამის გუნდის იოლ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. თუმცა, უნგრელებმა გადაწყვიტეს საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ მეორედ არ წაეგოთ და ფრანგებს ბრძოლა გაუმართეს.

იშვიათად, მაგრამ ფრანგებს ჰქონდათ გამონათებები და იყო მომენტი, როდესაც უნგრეთი გოლს გადაურჩა, ტაიმის ბოლოს კი უნგრეთმა კონტრშეტევაზე იხეირა და ფიოლამ მადიარები დააწინაურა.

მეორე ტაიმში ფრანგებმა დაწოლა გააძლიერეს, მაგრამ გოლის გატანა მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოახერხეს – ქულა დეშამის გუნდს გრიზმანმა მოუტანა.

ამ ქულით უნგრელებიც ბრძოლაში დარჩნენ და ახლა ჯგუფის მთავარ სენსაციაზე ფიქრობენ.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

## კალეიდოსკოპი

### მუცელში დანაგაყრილმა მამაკაცმა პოლიციამდე მიირბინა და გადარჩა



ინდოეთის მახარაშტრას შტატის ქალაქ ნაგპურში მცხოვრებმა მამაკაცმა, რომელსაც მუცელში დანა ჰქონდა გაყრილი, დახმარებისთვის პოლიციას მიმართა და საბოლოოდ ცოცხალი გადარჩა.

კვირა საღამოს, კამათის დროს, 20 წლის მამაკაცს მუცელში დანით ჭრილობა მიაყენეს. მას ჭრილობიდან დანის ამოძრობა არ უცდია და პოლიციის განყოფილებამდე მიღწევა მოახერხა, რომელიც შემთხვევის ადგილიდან 500 მეტრით იყო დაშორებული.

– მან გარკვეული მანძილი ფეხით გაირბინა, შემდეგ კი მეგობარმა მოტოციკლით მიიყვანა პოლიციის განყოფილებაში, – განაცხადეს პოლიციაში.

სამართალდამცავებმა მამაკაცი დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პოლიციაში აღნიშნეს, რომ მომხდართან დაკავშირებით სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილის სახით ცხრა პირი დააკავეს. ჩხუბის მიზეზი მამაკაცებს შორის დიდი ხნის მტრობა გახდა.

საავადმყოფოში განაცხადეს, რომ დაშავებულის მდგომარეობა სტაბილურია და უმჯობესდება.

### მედდამ კოვიდ-19-ისგან გარდაცვლილი პენსიონერი გაქურდა

ინგლისის ქალაქ ბირმინგემის საავადმყოფოს თანამშრომელმა გარდაცვლილ პენსიონერს ბანკის ბარათი მოჰპარა, ჩიპსები იყიდა და სასამართლოში ამოყო თავი.

აღნიშნული ინციდენტი მიმდინარე წლის 24 იანვარს მოხდა. 23 წლის აიეშა ბაშარატმა კოვიდ-19-ისგან გარდაცვლილი 83 წლის ქალის ბარათი პალატაში იპოვა. პაციენტის გარდაცვალებიდან 17 წუთში მედდამ ერთი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ჩიპსები და სხვა სასუსნავები საავადმყოფოს ავტომატიდან შეიძინა. ეს მომენტი ადგილზე დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს.

მოგვიანებით მედდამ ისევ ერთი ფუნტის ღირებულების სასუსნავები შეიძინა, შემდეგ კი ისევ შეეცადა, ბარათი გამოეყენებინა, მაგრამ იმ დროისთვის ის უკვე დაბლოკილი იყო. პოლიციამ ბაშარატი პირდაპირ სამუშაო ადგილზე დააპატიმრა.

ქურდბაცაცა მედდა ამტკიცებდა, რომ, უბრალოდ, პაციენტის ბარათი, რომელიც პალატის იატაკზე დავარდნილი იპოვა, საკუთარში აერია. თუმცა გამოძიებამ დაადგინა, რომ ბარათები ერთმანეთისგან შეფერილობით იმდენად განსხვავდებოდა, რომ მათი ერთმანეთში არევა შეუძლებელია.

საბოლოოდ ბაშარატმა თავი დამნაშავედ ცნო. სასამართლომ მედდას ხუთი თვით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა.

### ალიგატორმა ძაღლთან ერთად მოსეირნე ქალი დაკბინა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ პალმ-ჰარბორში ალიგატორმა ქალს, რომელიც ძაღლს ასეირნებდა, ფეხზე უკბინა.

სამშაბათ საღამოს 43 წლის ქალი პატარა ტბის მახლობლად საბელით ძაღლს ასეირნებდა. მოულოდნელად მას თავს ალიგატორი დაესხა და ფეხზე უკბინა. დაშავებული ახლომდებარე საავადმყოფოში მუხლის არეში მიღებული დაზიანებებით გადაიყვანეს. თუ რამდენად სერიოზულია დაზიანებები, ამის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება, ასევე უცნობია, დაშავდა თუ არა ამ ინციდენტის შედეგად მისი ძაღლი. შემთხვევის ადგილზე ალიგატორებზე მონადირე გაიგზავნა, რომელმაც ორმეტრიანი რეპტილია დაიჭირა.

– როდესაც ადგილზე მივედი, ალიგატორი პირდაპირ პოლიციელებისკენ მიდიოდა. აშკარაა, რომ მას ვიღაც საჭმელს უყრიდა. სწორედ ამიტომ უკბინა მან ქალს, – განაცხადა თვითმხილველმა გრეგ ბროტმანმა.

მეორე ადგილობრივმა კი განაცხადა, რომ ამ შემთხვევამდე გარკვეული დროით ადრე ბავშვები ცხოველს აღიზიანებდნენ, ჯოხებს ესროდნენ. სავარაუდოდ, ალიგატორი ამანაც გააბრაზა.

### გედმა ძაღლი მისი პატრონების თვალწინ მოკლა

ინგლისის საუთ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ როტერემში გედმა ძაღლი მისი პატრონების თვალწინ მოკლა.

რას ბარბერი თავის ორ ბავშვთან, შეყვარებულთან, სახელად ნიკოლ ბარტონთან და ხუთი წლის ძაღლთან, ბრიუსთან ერთად პარკში, ტბის სანაპიროსთან სეირნობდა. როდესაც ძაღლი წყალსატევში შევიდა, მას მოულოდნელად თავს გედი დაესხა. გააფთრებულმა ფრინველმა ცხოველს რამდენიმეჯერ ჩასცხო თავისი ფრთები. ბარბერი ძაღლის დასახმარებლად წყალში შევარდა, მაგრამ უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა. ბრიუსი დაიღუპა.

ინგლისელის თქმით, ყველაფერი რამდენიმე წამში მოხდა. მას გედის ბარტყები არ შეუნიშნავს და ამიტომ ფიქრობს, რომ ის, უბრალოდ, მის ირგვლივ მყოფი იხვების დაცვას ცდილობდა.

– მოგიწოდებთ, დაფიქრდით, სანამ წყალში თქვენს ძაღლს შეუშვებთ და არასოდეს ენდოთ გედებს, – განაცხადა ქალმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საზოგადოება

# მაკა ბურდულმა სპექტაკლი კინოს ელემენტებით დადგა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მონაწილეობენ ბალერინები ევა გაიდაი, ტატა ნაგებაშვილი და ლიზი ქვაჩახია.,

საკმაოდ მრავალფეროვანია შემოქმედებითი ჯგუფიც. ვინაიდან მაკას პირველი შეხება ჰქონდა თეატრთან რეჟისორის ამპლუაში, მას კონსულტაციები გაუწიეს და თეატრის ნიუანსებში გაარკვიეს ირაკლი კავსაძემ და შაქრო ჯორჯაძემ. ქორეოგრაფიაზე რაჟდენ კერვალიშვილმა იმუშავა, პიესა ნინო აბესაძემ თარგმნა. კომპიუტერული უზრუნველყოფა – ირაკლი გოგუაძეს ეკუთვნის, ხმის ოპერატორი – ზვიად გაგლოშვილია, განათება – ნატალია მანაგაძე, ტექნიკური რეჟისორი – ნათია ბოშიშვილი, ხმის რეჟისორი – ლევან გვაზავა, მხატვარი – ბაია მაჭავარიანი, მონტაჟის რეჟისორი – ირაკლი ლომსაძე, აზერბაიჯანულ დიასპორასთან ურთიერთობაში კი ლია მენაბდიშვილის უზარმაზარი წვლილია. თორნიკე ალაშვილმა მაქსიმალურად იზრუნა შემოქმედებითი ჯგუფის ჯანმრთელობაზე.



მაკა ბურდულის სპექტაკლი ცოცხალი მუსიკის თანხლებით იქნება წარმოდგენილი. საპრემიერო ჩვენებას მევიოლინე ციცინო ნიკოლაიშვილი გაალამაზებს.

პიესის ავტორის მეუღლეს ანა იბრაგიმბეკოვას მაქსუდ იბრაგიმბეკოვის სახელობის თეატრი აქვს და დასი სპექტაკლით ამ თეატრში უკვე მიწვეულია. მაკა ბურდულის ნამუშევარს ელოდებიან შტუტგარტში, კიევში, ნიუ იორკში, მონტე კარლოში, სანკტ-პეტერბურგში, იერუსალიმში.

**მაკა ბურდული, რეჟისორი, მსახიობი:**

– ეს არის სპექტაკლი კინოს ეფექტებით. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დიმა ხვთისიაშვილი ინოვაციების მომხრეა და მაქსიმალურად დაგვიდგა მხარში, კონსულტაციაც გამიწია და თეატრის კარიც ფართოდ გამიღო. მამას არ უყვარს თეატრში თამაში, ამიტომ ის და დედა კინოეფექტებით ჩაერთვებიან სპექტაკლში. დიდი სურვილი მაქვს, ეს სპექტაკლი სატელევიზიო დადგმადაც იქცეს. ახლა მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და წინასწარ ჯერ მეტის თქმის უფლება არ მაქვს.

# კულტურის სამინისტრომ ზურაბ რთველიაშვილის პრემია დააწესა



კულტურის სამინისტრომ პერფორმანსში პოეტის ზურაბ რთველიაშვილის სახელობის პრემია დააწესა.

იდეის ავტორი პოეტის თანამებრძოლი, მწერალი ირაკლი კაკაბაძეა. კულტურის სამინისტრომ საერთაშორისო პარტნიორების ხელშეწყობით საქართველოში ზურაბ რთველიაშვილის სახელობის პერფომანსის საერთაშორისო ფესტივალის დაფუძნების გადაწყვეტილებაც მიიღო. პირველი ასეთი ფესტივალი წელს შემოდგომაზე ჩატარდება და კულტურის სამინისტროს მიერ შემოღებული პრემია გამარჯვებულ ხელოვანს ზურაბ რთველიაშვილის დაბადების დღეზე – 16 ოქტომბერს გადაეცემა.

– ზურაბ რთველიაშვილის სახელობის პერფომანსის საერთაშორისო ფესტივალის საქართველოში დაფუძნება მნიშვნელოვანი სახელოვნებო სიახლეა. მისი მთავარი მიზანია, ქართული პერფორმანსის პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით და უცხოელი პერფორმერების შემოქმედების გაცნობა ქართული საზოგადოებისათვის. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მუსიკოსები, მსახიობები, ვიზუალური და მულტიმედია არტისტები და სხვა ხელოვანები, რომლებსაც საშუალება მიეცემათ წარმოადგინონ პერფორმანსები.

2012 წლამდე, ზურაბ რთველიაშვილი ლექსითა და პერფორმანსით ებრძოდა უსამართლობასა და ხელისუფლების მიერ ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილ სისტემურ დანაშაულებს. ჩვენი ვალია, პატივი მივაგოთ მის ხელოვნებასა და ხსოვნას და კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ, რომ ხელოვნება ყველა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუმარცხებელია, – განაცხადა თეა წულუკიანმა ზურაბ რთველიაშვილის სახელობის პრემიის დაარსებასთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მეორე წრე დინამოელთა ორხელისუფლებიანობით დასრულდა

**დინამო (თბ)-ლოკომოტივი 2:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0, 2:0 გაბედავა (17, 65პ)

**დინამო:** კვასხვაძე, მონხილი, ბენიო, კობოური, პაპავა (ქარდავა 68), რადინი (გაგნიძე 68), ხარაბაძე (მორჩილაძე59), სპორქსლედე, კუცია (მექვაბიშვილი 78), გაბედავა (ახვლედიანი 78), მარუშიჩი

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ანდრონიკაშვილი, სანდოხაძე, გაბაძე (კახაბრიშვილი 72), უბილავა, დარცმელია, შონია (გავაშელიშვილი 73), სამურკასოვი (ბუილლიშვილი 83), იმრანი, სიხარულიძე (იაკობიძე 83), კირკიტაძე (მუკბანიანი 83)

დედაქალაქური დერბი საინტერესო გამოდგა და დინამომ გიორგი გაბედავას წყვილი გოლით იმარჯვა.

პირველი რეალური საგოლე მომენტი მასპინძლებმა მატჩის მე-15 წუთზე შექმნეს, როდესაც ზორან მარუშიჩმა ბურთი თავით დაუგდო გიორგი გაბედავას. დინამოელთა შემტევმა მცველს კი აჯობა, მაგრამ დარტყმა აღარ გამოუვიდა. თუმცა, ამ მომენტიდან 2 წუთში გაბედავამ მაინც მოახერხა ანგარიშის გახსნა. საგოლე პასი კი, ისევ მარუშიჩმა ჩაიწერა, გაბედავამ კი, საჯარიმოს მისადგომებიდან ტექნიკურად დაარტყა – 1:0.

დინამომ ხელთ იგდო სათამაშო უპირატესობა და 2 მწვავე მომენტი შექმნა ლოკომოტივის კართან: ჯერ საიმონ ბენიოს დარტყმული მცირედით აცდა კარს, შემდეგ კი გიორგი კუციას მართებდა გატანა. საპასუხოდ სტუმართა შეტევა და სახიფათო დრიბლინგი ვიქტორ მონხილმა ჩაჭრა და პირველი ტაიმიც დასრულდა.

მე-2 ტაიმის დასაწყისში მარუშიჩმა შორიდან გაისროლა, მაგრამ ბურთი ხარიხამ უკუაგდო, დამატებაზე კი, კუციას ტექნიკური დარტყმული თევდორაძემ კუთხურზე მოიგერია. მატჩის 53-ე წუთზე დინამომ ანგარიშში დაწინაურების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან – ლევან ხარაბაძის აქტიურობის შემდეგ კუციამ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა. 62-ე წუთზე ლოკომოტივის მეკარემ გაბედავას დუბლის შესრულება გადაუდო. მალევე სტუმრები გიორგი პაპავაზე დაჯარიმდნენ და პენალტი დაინიშნა. 11 მეტრიდან გაბედავამ ზუსტად დაარტყა – 2:0.

მატჩის ბოლოს თორნიკე ახვლედიანმა ტექნიკურად ითამაშა, ცრუ მოძრაობით გაცდა მეტოქეს, ტექნიკურად დაარტყა და ძელი... საბოლოოდ აღარაფერი შეცვლილა და დინამომ მორიგი 3 ქულა მოიპოვა.

**დინამო (ბთ)-დილა 2:0**

**ბათუმი. ბათუმი არენა**

1:0, 2:0 ფანცულაია (22, 40)

**დინამო:** კუპატაძე, მამუჩაშვილი, კობახიძე, გაგოშიძე, აზაროვი, ტეიდი, ალთუნაშვილი, თ.გაფრინდაშვილი (შინდაგორიძე 76), ჯილაური (ზარია 72), გროცურეკი (მანჯგალაძე 71), ფანცულაია (სანოგო 65)

**დილა:** გუგეშაშვილი, ჩიტეიშვილი, ეტოუ, მაისაშვილი, ვანდერსონი (ნემსაძე 84), მოსიაშვილი (ნონდი 57), ბიძინაშვილი, ა.სანტოსი, ღუდუშაური, კაპანაძე (მადინგა 84), კამარა

ეროვნულ ლიგაში ბათუმის დინამო ისევ ლიდერია. გია გეგუჩაძის გუნდმა საკუთარ მოედანზე გორის დილა მიიღო და ანგარიშით 2:0 დაამარცხა.

ბათუმელებმა 3 ქულა გიორგი ფანცულაიას მიერ შესრულებული დუბლის წყალობით აიღეს. მასპინძლებმა ანგარიში შეხვედრის 22-წუთზე გახსნეს, ხოლო ორამდე უპირატესობა კი, პირველი ტაიმის მიწურულს გაზარდეს.

ბათუმის დინამომ 18 ტურის ჯამში 38 ქულა დააგროვა და გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა. გორის დილა კი, 26 ქულით მე-5 პოზიციას იკავებს.



**საბურთალო-სამტრედია 4:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 გიორგაძე (16სკ), 2:0 გოჩოლეიშვილი (42), 3:0 ნონიკაშვილი (83), 4:0 ოდუკო (90)

**საბურთალო:** გოშაძე, მალი, ლაცაბიძე (ოდუკო 85), ჯგერენაია, ჯინჯოლავა, ი.ტაბატაძე (შულაია 85), ძებნიაური, კაკუბავა, ტერა (შ.ნონიკაშვილი 85), გოჩოლეიშვილი (გულიაშვილი 71), მანდრიჩენკო (ლ.ნონიკაშვილი 71)

**სამტრედია:** ბ.ქურდაძე, ცეცხლაძე, კვირკვია, მესიაჩენკო (დ.ჯიქია 89), ილურიძე (ლომთაძე 58), ჟუნიორი (შენგელია 74), ერაძე (რობაქიძე 58), ლუკავა (რუხაძე 46), ნადირაძე, იოსელიანი, გიორგაძე

საბურთალომ იოლად მოიგო. ხვიჩა შუბითიძის გუნდი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და საინტერესოდაც თამაშობს.

ანგარიში კურიოზული გოლით გაიხსნა – ანდრო გიორგაძემ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, რასაც ტაიმის ბოლოს გიორგი გოჩოლეიშვილის გოლი მოჰყვა.

საბურთალო მიღწეულზე არ დაკმაყოფილდა და თამაშის ბოლოს კიდევ ორჯერ გაიტანა და ორივე შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა – ლევან ნონიკაშვილმა და ოდუკომ.

სამტრედიამ კი, ფლეი აუტის ადგილი დაკარგა და ბოლო ადგილზე გადაინაცვლა.

**ტორპედო-სამგურალი 0:0**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

**ტორპედო:** ჰამზიჩი, ვ.ტაბატაძე, ქაფიანიძე, ნადარაია (ტუიჩიბაევი 77), მამასახლისი, ზიდანი (ა.თევზაძე 90), ბუკასი (ფირანიშვილი 46), რეკიში, გრიგალაშვილი, ჩალაძე (გოგუაძე 85), ჩაკვეტაძე

**სამგურალი:** ქვილითაია, პატარკაციშვილი, გილმორი, კუხიანიძე (ბუხაიძე 75), ფონიავა (ჩიხლაძე 62), დ.კირკიტაძე (ლეკვთაძე 75), ლ.ქურდაძე, დოლიძე (ბანძელაძე 62), გ.თევზაძე (კალანდარიშვილი 66), ბურჯანაძე, კიკაბიძე

გატანილი გოლების გარეშე დასრულდა მატჩი, რომელიც ქუთაისში ტორპედოსა და სამგურალს შორის გაიმართა. წყალტუბოელებმა ეროვნულ ლიგაში ზედიზედ მე-2 მატჩი დაასრულეს უგოლო ფრედ.

იმერულ დერბიში მოპოვებული ქულის შემდეგ ტორპედოს აქტივში 18 ქულაა და გუნდი გათამაშების ცხრილში მე-7 ადგილზე იმყოფება. წყალტუბოელებმა კი 24 ქულა დააგროვეს და მე-6 პოზიციაზე არიან.

**თელავი-შუქურა 1:0**

**რუსთავი. ტექნიკური ცენტრი**

1:0 მარაქველიძე (65)

**თელავი:** სანიკიძე, ზ.თევზაძე, მარაქველიძე, მ.ბაშელეიშვილი, ჯანელიძე (ციცქიშვილი 63), მ.ჯიქია (აშორტია 46), ფაცაცია, შეყილაძე (სოსიაშვილი 89), ძოწენიძე, ლ.კოხრეიძე (ხაბულიანი 63), შერგელაშვილი

**შუქურა:** თებიძე, ფარტენაძე, ჭანტურია, გოგიტიძე (ექვთიმიშვილი 63), ინგოროყვა (ვერულიძე 63), ტენორი (ხმალაძე 46), სარდალიშვილი (კვარაცხელია 87), გ.გაფრინდაშვილი (მუსელიანი 57), რეხვიაშვილი, კაკაშვილი, ჯერალდო

უშუალო კონკურენტთან თელავმა ძალიან მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა. კახელებმა შუქურას რუსთავში უმასპინძლეს და მეტოქე 1:0 დაამარცხეს. შეხვედრაში ერთადერთი გოლი ფირუზ მარაქველიძემ 65-ე წუთზე გაიტანა.

ამ მოგების წყალობით თელავის აქტივში 12 ქულაა და კახელები სატურნირო ცხრილში უკვე მე-9 პოზიციაზე არიან. ქობულეთის შუქურა კი, 16 ქულით მე-8 ადგილს იკავებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 18 | 11 | 5 | 2 | 33-10 | 38 |
| 2.დინამო (თბ) | 18 | 12 | 2 | 4 | 29-13 | 38 |
| 3.საბურთალო | 18 | 8 | 7 | 3 | 26-18 | 31 |
| 4.ლოკომოტივი | 18 | 9 | 3 | 6 | 31-27 | 30 |
| 5.დილა | 18 | 7 | 5 | 6 | 19-18 | 26 |
| 6.სამგურალი | 18 | 6 | 6 | 6 | 17-20 | 24 |
| 7.ტორპედო | 18 | 3 | 9 | 6 | 16-18 | 18 |
| 8.შუქურა | 18 | 3 | 7 | 8 | 14-25 | 16 |
| 9.თელავი | 18 | 2 | 6 | 10 | 12-30 | 12 |
| 10.სამტრედია | 18 | 2 | 4 | 12 | 16-34 | 10 |

# ოლიმპიური თამაშების კოვიდ-წესები და პირველი ინფიცირებული

ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის საგანგებოდ შედგენილი რეგულაციების განახლებული მესამე ვერსიის თანახმად, იაპონიის მთავრობას, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, პარალიმპურ ოლიმპიურ კომიტეტს შეეძლებათ დისციპლინური სანქციები დააწესონ. ასპარეზობის წესების ან რეგულაციების უხეში დარღვევისთვის სანქციის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს ათლეტის ან მის თანმხლებ პირთა ოლიმპიური თამაშებიდან მოხსნა ან დეპორტაცია. რეგულაციათა განახლებულ სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ წესების დამრღვევი პირი შეიძლება გააფრთხილონ, დროებით ან მთლიანად შეუჩერდეს აკრედიტაცია და გაირიცხოს თამაშებიდან. ასევე გათვალისწინებულია დისკვალიფიკაცია და ფინანსური სანქციები.

აი, რა წერია ტოკიო-2020-ის რეგულაციების სახელმძღვანელოში:

– წესების დარღვევა, მათ შორის, ტესტირებაზე უარის თქმა, ისეთი ადგილების სტუმრობა, რომლებიც საქმიანობის წარმოდგენილ გეგმაში არ შედის ან პირბადის გამოყენების, ან სოციალური დისტანცირების წესების განზრახ უგულებელყოფა, შეიძლება აისახოს დისციპლინარულ სასჯელში.

ამასობაში, უგანდელ სპორტსმენს, რომელიც იაპონიაში ტოკიოს ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის ჩავიდა, კორონავირუსი დაუდასტურდა და იზოლაციაში გადაიყვანეს.

ყველა სპორტსმენი, რომელიც 19 ივნისს ტოკიოს ნარიტას აეროპორტში იმყოფებოდა, სრულად იყო ვაქცინირებული და თვითმფრინავში ჩასხდომამდე წარმოდგენილი ჰქონდათ პისიარ ტესტების უარყოფითი პასუხის დამადასტურებელი დოკუმენტები.

# გერმანიამ ბრჭყალები გამოაჩინა, საფრანგეთმა და ესპანეთმა დამალეს

დასაწყისი მე-6 გვერდზე

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ატილა ფიოლა**

ძალიან ძვირადღირებული ბურთი გაიტანა ფიოლამ, რომელიც გოლის დროს ბრწყინვალედ გაერკვა სიტუაციაში. ასევე შესანიშნავად გაისარჯა პავარის წინააღმდეგ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| 2.გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| 3.პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| 4.უნგრეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |

**ესპანეთი-პოლონეთი 1:1**

**სევილია. ოლიმპიკო**

1:0 მორატა (25), 1:1 ლევანდოვსკი (54)

58-ე წუთზე მორენომ ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)

**ესპანეთი:** სიმონი, მ.ლორენტე, ლაპორტი, პ.ტორესი, ალბა, კოკე (სარაბია 68), როდრი, პედრი, მორენო (რუისი 68), მორატა, ოლმო (ფ.ტორესი 61)

**პოლონეთი:** შჩესნი, ბერეშინსკი, გლიკი, ბედნარეკი (დავიდოვიჩი 85), იუჟვიაკი, მოდერი (ლინეტი 85), კლიხი (კოზლოვსკი 55), პუხაჩი, შვიდერსკი (ფრანკოვსკი 67), ჟელინსკი, ლევანდოვსკი

როგორც ყოველთვის, ესპანეთის ნაკრებს ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებელი მაღალი ჰქონდა – 76%. სხვა მაჩვენებლებითაც აჯობა მეტოქეს, მაგრამ მხოლოდ ქულას გამორჩნენ. თუმცა, იმ მცირე ბურთის ფლობაში პოლონელები ესპანელებზე უფრო თამამად გამოიყურებოდნენ.

გოლი მაინც ესპანელებმა შეაგდეს – მორატამ გაუტანა პოლონელებს. ჩვეულ სტილში, თამაშგარის ზღვარზე და გოლის ჩასათვლელად ვარი გახდა საჭირო.

პოლონეთი კარგი იყო ტაიმის ბოლოს, რამდენიმე მომენტის გამოუყენებლობის შემდეგ ლევანდოვსკიმ მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა.

ესპანეთის მალევე შეეძლო წინ გასვლა, მაგრამ მორენომ ბურთი ძელს გაარტყა, ხოლო მორატამ დამატებაზე ცარიელ კარს ააცილა.

დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და ცხრილში სიტუაცია დაიძაბა. ახლა ოთხივე გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი აქვს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – რობერტ ლევანდოვსკი**

ყველა მეტ ხიფათს უქმნიდა ესპანელთა კარს, რაც ერთხელ გოლად აქცია. რამდენჯერმე თანაგუნდელებსაც შეუქმნა კარგი მომენტი, მაგრამ მათ ვერ იხეირეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შვედეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| 2.სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 3.ესპანეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 4.პოლონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კუჭნაწლავის ნორმალური მოქმედების დარღვევა; 2. ამერიკელი ავიაკონსტრუქტორი; 3. სატუსაღოს ძველი სახელწოდება; 4. „ლივერპულის" ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 5. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 11. საჭმელი სოკო; 12. მესხების, გურულების და აჭარლების მოკლე ჩოხა; 14. ქართული საბავშვო ჟურნალი; 16. მეთორმეტე საუკუნის ქართველი ხატმწერი, ოქრომჭედელი; 17. მაროკოს ქალაქ ფესაში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 19. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 21. ბალ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ჩეხური საავტომობილო ფირმა.

**თარაზულად:** 5. სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში; 7. ახალი წლის სახელწოდება გურიაში; 8. გემების სადგომი ნავსადგურში; 9. პოპულარული კურორტი იტალიის ალპებში; 10. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 13. ოსური ცეკვა; 15. ეგრისის სამეფოს მთავარი ქალაქი; 18. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 20. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. მთა თბილისში; 23. კუთხის ორ თანაბარ ნაწილად გამყოფი სწორი ხაზის მონაკვეთი გეომეტრიაში; 24. პატარა მოთხრობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხულა; 2. ჯრუჭი; 3. იუანი; 4. რკინა; 5. ლეკები; 6. გალენიტი; 8. უსახელაური; 10. ქსენოფილია; 11. ნორმანები; 14. პუშერი; 15. უშქარი; 16. ქანდა.

**თარაზულად:** 1. ხანჯალი; 4. როლგანგი; 7. ლოლუა; 9. ციცქა; 12. ფირუზი; 13. კასიო; 14. პრინცი; 17. ნაგანი; 18. ტოლერანტობა; 19. ხითხითი; 20. მილანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პომოლოგია; 2. ჰუდზონი; 3. ნაზუქი; 4. ბურგი; 5. არაგვი; 11. სხალთა; 12. კონერი; 14. ნანა; 16. რუსთავი; 17. სლალომი; 19. სეკანსი; 21. მონჟი; 22. ვარნა.

**თარაზულად:** 6. მოლეკულა; 7. პაუპერი; 8. გროგი; 9. კლიჩკო; 11. ქაოსი; 13. სიონი; 15. გრენლანდია; 18. მატროსი; 20. ლელა; 21. მანატი; 23. პინკერტონი; 24. მირაჟი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 ივნისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 3.1681

ევრო — 3.7754

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4059

100 რუსული რუბლი — 4.3879

**ამინდის პროგნოზი 21 ივნისისათვის**




## დემბელეს ტრავმა შესაძლოა სერიოზული აღმოჩნდეს



საფრანგეთის ნაკრების და ბარსელონას ფორვარდმა უსმან დემბელემ უნგრეთთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და, შესაძლოა, მან საკმაოდ დიდი ხანი გამოტოვოს, თუმცა ჯერჯერობით ტრავმის სიმძიმე ცნობილი არ არის.

დემბელე ბარსელონაში გადასვლის შემდეგ ტრავმებს საკმაოდ ხშირად იღებს და მისთვის ეს სერიოზული პრობლემა გახდა. ამჯერად მან, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატის დარჩენილი ნაწილი გამოტოვოს.

## კოუტინიოს შეძენით ევერტონი დაინტერესდა



ბარსელონა თავის ბრაზილიელ ნახევარმცველს ფელიპე კოუტინიოს დიდი ალბათობით გაყიდის და მისი მომდევნო გუნდი, შესაძლოა, ევერტონი გახდეს, რაც უცნაური იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კოუტინიომ კარიერის დიდი ნაწილი ლივერპულში გაატარა. ბარსელონაში გადასვლის შემდეგ კოუტინიომ ვერ შეძლო ოპტიმალურ კონდიციებში ჩადგომა და მას ტრავმებმა შეუშალა ხელი.

## ტონი კროოსმა პორტუგალიასთან შესანიშნავი მატჩი ჩაატარა



გერმანიის ნაკრებმა პორტუგალია დამაჯერებლად 4:2 დაამარცხა და საკმაოდ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. შეხვედრაში საუკეთესო ფეხბურთელი ტონი კროოსი იყო, რომელმაც 85 ზუსტი პასი გააკეთა და პროცენტულად მისი პასების სიზუსტე 96% იყო. ასევე პორტუგალიელი ფეხბურთელები მის წინააღმდეგ ყველაზე მეტად დაჯარიმდნენ. მატჩის შემდეგ კროოსმა განაცხადა, რომ ის კარგ ფორმაშია და შემდეგ შეხვედრას მოუთმენლად ელოდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ელისაბედ II-მ ტახტზე შესაძლო უარის თქმის მიზეზები დაასახელა



დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ ის ორი მიზეზი დაასახელა, რომელთა გამო, შესაძლოა, მან უარი თქვას სამეფო ტახტზე. ამის თაობაზე ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის საშუალებით ბიოგრაფი მეთიუ დენისონი ავრცელებს.

მკვლევარმა აღნიშნა, რომ დედოფალმა სამეფო უფლებამოსილებაზე შესაძლო უარის თქმის თაობაზე თავის ბიძაშვილ მარგარეტ როუდთან იმსჯელა. მისი თქმით, ელისაბედ II-მ ნათესავისთვის გაგზავნილ წერილში განაცხადა, რომ ტახტს მხოლოდ ინსულტის ან ალცჰეიმერის დაავადების შემთხვევაში დატოვებს.

დენისონმა ასევე თავდაჯერებით განაცხადა, რომ დედოფალი თავის უფლებამოსილებას სიცოცხლის ბოლომდე შეასრულებს. სხვა ექსპერტები მის შეხედულებას იზიარებენ. სამეფო ისტორიკოსმა ჰიუგო ვიკერსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ელისაბედ II-ს შესანიშნავი ჯანმრთელობა აქვს და იმედი გამოთქვა, რომ ის სამეფო ტახტზე რაც შეიძლება დიდხანს დარჩება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 21 ივნისისათვის

**ვერძი** — სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. იმპულსურობა და აჩქარება დღეს არ გამოგადგებათ. **კურო** — თქვენს მოვალეობებს სხვას ნუ გადააბარებთ. პასუხისმგებლობა იქონიეთ და დაწყებული საქმე დაამთავრეთ. **ტყუპები** — კრიტიკული დღეა. სულიერი სიმტკიცე გამოიჩინეთ. ნუ მოეშვებით. **კირჩხიბი** — ზედმეტად მგრძნობიარე ბუნება ცუდ სამსახურს გიწევთ. გირჩევთ, გადაწყვეტილებები ცივი გონებით მიიღოთ. **ლომი** — ნებისმიერი საქმიანი შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. პრინციპულ საკითხებზე გარშემომყოფებთან ცხარე კამათი გელით. **ქალწული** — ინტუიცია გიმახვილდებათ. სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ და არც ინანებთ. **სასწორი** — საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. ნავაჭრით ძალიან კმაყოფილი დარჩებით. ასევე გიმართლებთ შემოქმედებით საქმიანობაში. **ღრიანკალი** — სიტუაციის მოულოდნელი ცვლილება გაგაღიზიანებთ. თავი შეიკავეთ კამათისა და საქმის გარჩევებისაგან. **მშვილდოსანი** — საკუთარი პოზიცია დაიცავით. პრინციპულობა და სულიერი სიმტკიცე დღის დევიზია. **თხის რქა** — ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. ნებისმიერი წამოწყება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** — იღბლიანი პერიოდია პირად ცხოვრებაში ცვლილებების შესატანად. დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კონფლიქტს ახლობლებთან. **თევზები** — სამსახურში სირთულეები შეგხვდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ფიზიკურად არ დაიტვირთოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— წუხელ მთელი ღამე კატის ღნავილი მესმოდა...

— მერე?

— რა მერე, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქალი მასე მომანატროს!

●●●

რუსს ეუბნებიან:

— ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შოკოლადი განწყობას ამაღლებს...

— მაგათ, როგორც ჩანს, არაყი არ გაუსინჯავთ.

●●●

მუშაობის დაწყების მსურველი მამაკაცი გასაუბრებაზეა. მას ეკითხებიან:

— შვილები გყავთ?

— დიახ.

— რამდენი?

— ხუთი გოგონა და რვა ბიჭი.

— და კიდევ რის გაკეთება გეხერხებათ?

●●●

მამაკაცი მღვდელს აღსარებას აბარებს. მღვდელი ეკითხება:

— ეშმაკი უარყავი, შვილო ჩემო?

— არ შემიძლია, მამაო, ჩემი სამი შვილის დედაა.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— რატომ მიყვირი? შენც ხომ დალიე...

— მე კაცებთან ერთად ვსვამდი...

— ჰოდა, მეც კაცებთან ერთად დავლიე...

●●●

სილამაზის სალონში ქალი სტილისტს ეუბნება:

— იცით, ბრიტნი სპირსის მანიკიური მინდა, ანჯელინა ჯოლის მაკიაჟი, ნაომი კემპბელის პედიკიური...

— და ჟერარ დეპარდიეს სიფათს ვტოვებთ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნინო სუხიშვილი: „მორალური და მატერიალური ზიანი მოგვადგა“



ანსამბლ „სუხიშვილების“ ხელმძღვანელმა ნინო სუხიშვილმა ინტერნეტში გაავრცელა ინფორმაცია, რომ წყნეთში, სადაც ღია სივრცეში მათი ანსამბლის კონცერტები იმართებოდა, ტერიტორია გაქურდეს:

— წყნეთში, სადაც პანდემიამდე ხშირად იმართებოდა ჩვენი კონცერტები, სუხიშვილების ქ. №1-ში მდებარე „ღია ტერასა ტყეში“ გაქურდეს და ძალიან დიდი მორალური და მატერიალური ზიანი მოგვადგა, მაგრამ წყნეთის პოლიციის უფროსს, ბატონ დიმას და მოადგილეს, ბატონ ამირანს ულრმესი მადლობა თავდაუზოგავი შრომისთვის. მათ ცხელ კვალზე გახსნეს აღნიშნული დანაშაული და დააკავეს დანაშაულის ჩამდენი პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო — ბევრი ასეთი კადრი თქვენ.

## ნიკა ქავთარაძეს ქუჩაში შეურაცხყოფა მიაყენეს



იუმორისტ ნიკა ქავთარაძეს ქუჩაში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ინფორმაცია ამის შესახებ მან სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

— შემეძლო, არც დამეწერა. ბოლო კვირის განმავლობაში, დღეს მეორედ მომაყენეს შეურაცხყოფა ქუჩაში. რამდენიმე დღის წინ საბურთალოს ქუჩაზე და ახლა — აბაშიძეზე. ორივე შემთხვევაში ახალგაზრდა, 30 წლამდე ბიჭი იყო. ორივემ ძალიან მძაფრი და პირდაპირი ფორმა გამოიყენა. ორივე შემთხვევაში გავატარე.

კონკრეტულ ადამიანებზე არც ვბრაზობ, მართლა. უბრალოდ, ასეთ მომენტებში ვხვდები, რომ სადღაც, რაღაც სივრცეში საშინელი პროპაგანდა მიმდინარეობს ჩემი და ჩემი მეგობრების წინააღმდეგ. სადღაც, რაღაც სივრცეში ადამიანებს აზიზღებენ ჩვენს თავს. იმაზე დიდი ბოროტება რა უნდა იყოს, როცა იმ ემოციამდე მიგყავს ადამიანი, ქუჩაში უცხო ადამიანს აგინოს. ანუ მისი დანახვისთანავე შეურაცხყოფა ადგებოდეს პირზე.

ზუსტად ვიცი, რომ ამას სამთავრობო პროპაგანდა აკეთებს. ასე ცდილობენ, რომ პუბლიკა გაგვიქრონ. მაგრამ ამ პროცესში ბევრად დიდი უბედურება ისაა, რომ ერთ ქვეყანაში ბედნიერად თანაცხოვრების საშუალებას კლავენ.

მთავრობაში ცოტა ადამიანს ვცემ პატივს. ამიტომ ერთს მივმართავ, რომელსაც პირადად ვიცნობ წლებია: კახა კალაძე, გადაეცი პროპაგანდისტებს, ნუ შეუწყობენ ამ საშინელებას ხელს. ამას საკუთარ ქვეყანას და ხალხს ნუ გაუკეთებენ. ნუ აბოროტებენ ადამიანებს.

ეს ქვეყანა ყველა ჩვენთაგანისაა — შენიც, ჩემიც, მე რომ ორმა ადამიანმა მაგინა, იმათიც, ასობით ადამიანის, რომლებიც ღიმილით და სითბოთი მხვდებიან მთელ საქართველოში, იმათიც და ყოველდღე რომ ჩემთან სელფებს იღებენ, იმ ბავშვებისაც.

მე არავისთვის არაფერი დამიშავებია ამ ქვეყანაში ისეთი, რომ შეურაცხყოფა მომაყენოს. რადგან ეს ხალხი ყველაზე მეტად მიყვარს მთელ სამყაროში.

## მხატვარი დიმიტრი ერისთავი 90 წლისაა



მხატვარსა და გრაფიკოსს დიმიტრი ერისთავს 90 წელი შეუსრულდა. საიუბილეო მრგვალი თარიღი ხელოვანმა პანდემიის გამო მოკრძალებულად აღნიშნა.

დიმიტრი ერისთავი საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია, ასევე არის საქართველოს სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის სახელობის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

მის მიერ შექმნილი ჟანრული სცენები და პორტრეტები გამოირჩევა ზუსტი და დახვეწილი ნახატით, ხასიათის გადმოცემის სიმახვილით, რიტმული კომპოზიციით. წლების განმავლობაში დიმიტრი ერისთავი მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მხატვრად. მაყურებელი კარგად იცნობს მის მიერ გაფორმებულ ფილმებს „გიორგობისთვე“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „იყო შაშვი მგალობელი“...

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მაკა ბურდულმა სპექტაკლი კინოს ელემენტებით დადგა



24 და 25 აპრილს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მცირე სცენაზე რეჟისორი მაკა ბურდული მაყურებელს სპექტაკლის პრემიერაზე ეპატიჟება. სპექტაკლი მისი მშობლების გუჯა ბურდულისა და ინეზა აბესაძის 80 წლის იუბილეს ეძღვნება. წარმოდგენა ერთგვარი ნოვაციაა, რადგან მასში კინოს ელემენტებია გამოყენებული.

მაკა ბურდულმა სპექტაკლი საინტერესო სვლებით მაქსუდ იბრაგიმბეკოვის პიესის მიხედვით დადგა. ეს საკურსო სპექტაკლია. მაია ერთადერთი სტუდენტია საქართველოდან, რომელიც ბაქოში სწავლობს. მისი პედაგოგი ვაგიფ მუსტაფაევია. რეჟისორი ამ სპექტაკლით აზერბაიჯანშია მიწვეული.

ვინაიდან გუჯა ბურდული ყოველთვის წინააღმდეგია თეატრში თამაშის, ამიტომ რეჟისორმა სპექტაკლში კინოს ნიუანსები ჩაამატა. შესაბამისად, მონატრებულ გუჯა ბურდულს პრემიერაზე მისული მაყურებელი მოზარდის თეატრის მცირე სცენაზე იხილავს. ერთ-ერთ როლს რეჟისორი სპექტაკლში თავადაც თამაშობს. მაკას პირველი პროფესია სწორედ მსახიობობაა, წლების შემდეგ ეს პროფესია გაიხსენა და სცენას დაუბრუნდა.

თბილისში ამ სპექტაკლის მხოლოდ 2 ჩვენება იქნება, შემდეგ კი აზერბაიჯანში გადაინაცვლებს. რუსულენოვანი სპექტაკლი თბილისში ტიტრებით გავა.

კომედიური ჟანრის ერთმოქმედებიან წარმოდგენაში მონაწილეობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მსახიობები: მანანა სურმავა, სერგეი შვედკოვი, დათო ბერძენიშვილი, ანა ალაშვილი, თენგიზ ავალიშვილი, კოტიკო გეგეჭკორი, ამიკო ჩოხარაძე, დავით ნადირაშვილი, მერაბ ბრეკაშვილი, ალი დარეზამი, ბარბარე სისაური, ლიკა შუკაკიძე, ანდრეი ტრაუტმანი, ედმონ გაბედავა. სპექტაკლში

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 2. კოვბოების შეჯიბრი; 3. ვაზის, ღვინის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 4. შვედური ავტომობილი; 5. ფიგურული სახაზავი; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. თანხის დაბანდება რაიმე საქმეში; 10. საგვარეულო ნუსხა; 11. უბანი ქუთაისში; 14. დოლი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 15. ნაკვერჩხლებიანი ნაცარი; 16. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად:** 1. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 4. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. აღმოსავლური მაგიდის სათამაშო; 9. სამეჯლისო ცეკვა; 12. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. დადგენილი წილი, მიღებული ნორმა; 14. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 17. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 18. განდიდების მანია; 19. აჭარული ხის სახლი; 20. თაღლითი ბანქოს თამაშში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

